პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი № 81 (11085) | შაბათი, 5 აპრილი, 1958 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

ურყევი ერთიანობა — „პრავდის“ 4/IV მოწინავე (1-ლი გვერდი).

მოლაპარაკება საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიათა და მთავრობათა დელეგაციებს შორის (1-ლი გვერდი).

უნგრეთის განთავისუფლების დღისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა ბუდაპეშტში (1-ლი გვერდი).

სოფლის მეურნეობის ახალი, დიდი პერსპექტივები. — **გ. კილაძე.** — პროდუქტების სიუხვისათვის; **შ. ხონელიძე.** — ახალ პირობებში ახალ წარმატებებს მოვიპოვებთ; **ბ. მილიუტინი.** — გადიდებული ვალდებულებანი; **დ. ქასრაშვილი.** — დიდი აღმავლობა; **ა. გონაშვილი.** — ახალი სიმაღლეებისაკენ; **ს. ქოჩლაძე.** — გაზაფხული შირვანის საძოვრებზე (მე-2 გვერდი).

მაღლობა მოსკოველებს, ბაღლობა მშობლიურ პარტიას. — **ლაპარაკობენ ქართული ხელოვნების დაბადებისადარის დეკადის მონაწილენი** (მე-3 გვერდი).

ყველა ქვეყნის ხალხები მიესალმებიან საბჭოთა კავშირის დიდ სამშვიდობო ინიციატივას (მე-4 გვერდი).

ურყევი ერთიანობა

დღეს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა აღნიშნავს დიდ ეროვნულ დღესასწაულს — განთავისუფლების დღეს. 13 წლის წინათ უნგრელმა ხალხმა მოიშორა საძულველი ფაშისტური რეჟიმი, აღმოფხვრა კაპიტალისტებისა და მემამულეების ბატონობა, დაამყარა სახალხო-დემოკრატიული წყობილება და მტკიცედ დაადგა სოციალიზმის მშენებლობის გზას.

ამხანაგები ნ. ს. ხრუშჩოვი და კ. ე. ვოროშილოვი მისასალმებელ დეპეშაში ამხანაგების იანოშ კადარის, იშტვან დობისა და ფერენც მიუნიხისადმი საბჭოთა კავშირის ხალხთა სახელით მხურვალედ ულოცავენ უნგრელ ხალხს ეროვნულ დღესასწაულს და გულწრფელად უსურვებენ ახალ მიღწევებს სოციალისტურ მშენებლობაში.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელები თავიანთ დეპეშაში ამხანაგების კ. ე. ვოროშილოვისა და ნ. ს. ხრუშჩოვისადმი წერენ:

„ჩვენი სამშობლოს განთავისუფლების მე-13 წლისთავზე გულწრფელი მეგობრობის გრძნობით მოგესალმებით თქვენ და თქვენი სახით დიდ მოძმე საბჭოთა ხალხს, რომელსაც უნდა ვუმადლოდეთ ჩვენს თავისუფლებასა და ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობას. 13 წლის წინათ საბჭოთა არმიის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვების შედეგად განხორციელდა უნგრელი ხალხის საუკუნეობრივი მისწრაფებანი. ჩვენ გავთავისუფლდით შინაურ და უცხო მჩაგვრელთა ბორკილებისაგან და ჩვენმა ხალხმა საკუთარ ხელში აიღო თავისი თავისუფლება და თავისი ქვეყნის მართვა. განთავისუფლების დღიდან ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი მშრომელი ხალხის ცხოვრებაში ძირეული ცვლილებები მოხდა“.

მოძმე უნგრეთში საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის გამგზავრება ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით სოციალისტურ სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობისა და მეგობრობის შემდგომი გაღრმავებისა და განვითარების თვალსაჩინო გამოვლინებაა.

სოციალიზმისა და მშვიდობისათვის ბრძოლის დიადი მიზნებით ერთიან ერთსულოვან ოჯახად შეკავშირებულ სოციალისტური ბანაკის სახელმწიფოებს წმიდა მოვალეობად მიაჩნიათ განმტკიცონ თავიანთი რიგების ერთიანობა, თანმიმდევრულად დაიცვან მარქსიზმ-ლენინიზმის ცხოველმყოფელი მოძღვრების სიწმინდე. სოციალისტური სახელმწიფოები მტკიცედ იბრძვიან ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის.

ყველა სოციალისტური სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ზრუნვა თავისი ეკონომიური ძლიერების განმტკიცებისათვის. სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპების გაძლიერებისათვის, შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის, ბუნებრივ სიმდიდრეთა უკეთ გამოყენებისათვის, მეცნიერებისა და ტექნიკის სრულყოფისათვის, მშრომელთა ცხოვრების დონის განუხრელი ამაღლებისათვის. საბჭოთა ადამიანებს თავიანთ მოვალეობად მიაჩნიათ ყოველი ღონისძიებით შეუწყონ ხელი სოციალისტური ბანაკის ძალისა და ძლიერების შემდგომ განმტკიცებას.

საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის მშრომელებს აკავშირებთ დიდი ხნის მეგობრობა, სოციალიზმის დიადი იდეები, მარქსიზმ-ლენინიზმის ძლევამოსილი დროშისადმი ერთგულება.

„საბჭოთა კავშირსა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკას შორის, ყველა სოციალისტურ ქვეყანას შორის, — განაცხადა ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის სიტყვაში ბუდაპეშტში ჩასვლისას, — ისეთი ურთიერთობა დამყარდა, როგორიც აქვთ უაღრესად მახლობელ მეგობრებს, რომლებსაც აერთიანებს ინტერესთა ერთობა, სოციალიზმისა და კომუნიზმისათვის ბრძოლაში იდეოლოგიისა და საბოლოო მიზნის ერთიანობა. ვერავინ და ვერასოდეს ვერ შეარყევს ჩვენი ქვეყნების ამ ერთიანობასა და შეკავშირებას“.

მეორე მსოფლიო ომის მსვლელობაში საბჭოთა არმიამ გაათავისუფლა უნგრეთი. გერმანელ ჰაბსბურგთა მონარქიის ოთხასი წლის უღლისა და ჰორტისტული რეჟიმის 25 წლის ბატონობის შემდეგ უნგრეთმა პირველად მიიღო ეროვნული დამოუკიდებლობა, მშრომელნი გახდნენ თავიანთი ქვეყნის ბატონ-პატრონნი, შევიდნენ დიად სოციალისტურ თანამეგობრობაში.

სოციალისტური ქვეყნები თავიანთ ურთიერთობას საფუძვლად უდებენ სრული თანასწორუფლებიანობისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ბატივისცემის პრინციპებს. ამ ურთიერთობის განუყოფელი ნაწილია ძმური ურთიერთდახმარება — პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დიადი პრინციპების ქმედითი გამოვლინება.

ხელმძღვანელობდა რა ამ ურყევი პრინციპებით, საბჭოთა კავშირმა უნგრეთის მთავრობის თხოვნით 1956 წლის შემოდგომაზე დახმარება გაუწია უნგრეთის კონტრრევოლუციური ძალების განადგურებაში, რომლებმაც ხელყვეს უნგრელი ხალხის დიადი მონაპოვარნი. მიბაყვნენ რა ამავე პრინციპებს, სოციალისტური ბანაკის ყველა სახელმწიფო დაეხმარა სახალხო უნგრეთს მოკლე ვადაში აღმოეფხვრა შედეგები კონტრრევოლუციური ამბოხებისა, რომელიც საერთაშორისო რეაქციამ მოაწყო, და ნორმალური ცხოვრება დაემყარებინა თავის ქვეყანაში.

უნგრეთში კონტრრევოლუციის განადგურებამ აშკარად დაგვანახვა სახალხო-დემოკრატიული წყობილების სიმტკიცე, დიადი სოციალისტური ბანაკის ძლიერება და შეკავშირება. საერთაშორისო ავანტიურების მოყვარულებმა საგნობრივი გაკვეთილი მიიღეს. სოციალისტური სახელმწიფოები არ მოითმენენ მათს საშინაო საქმეებში ჩარევას. ცხოვრება გვიჩვენებს, რომ სოციალისტური ქვეყნების შეკავშირება და მჭიდრო ერთიანობა თვითეული სოციალისტური ქვეყნის ეროვნული დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის საიმედო გარანტიაა. ამასთანავე სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკა მოწმობს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ახალი საზოგადოების წარმატებით შექმნისათვის მუშათა კლასისადმი მტრულ იდეოლოგიასთან შეურიგებლობას.

საბჭოთა ადამიანებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის გამგზავრება უნგრეთში ხელს შეუწყობს სსრ კავშირისა და უნგრეთის ხალხთა გულითადი მეგობრობის შემდგომ გაღრმავებას და ამასთანავე დიდმნიშვნელოვანი წვლილი იქნება ყველა სოციალისტურ ქვეყანას შორის ძმური ურთიერთობისა და ერთიანობის განმტკიცების საქმეში.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკამ თავისი სოციალისტური მუშათა პარტიის ხელმძღვანელობით დიდი წარმატებები მოიპოვა. სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპები სახალხო უნგრეთში ექვსჯერ გადიდდა ძველ უნგრეთში არსებულ ტემპებთან შედარებით. უნგრელი მშრომელები აქტიურად უმერენ მხარს თავიანთი პარტიის პოლიტიკას, ეხმარებიან მას დასახულ ღონისძიებათა განხორციელებაში. მარქსიზმ-ლენინიზმის თეორია, სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების გამოცდილების შემოქმედებითი შეფარდება უნგრეთის კონკრეტული პირობებისათვის საიმედო კომპასია, რომელიც სახალხო უნგრეთს უჩვენებს სწორ კურსს ნათელი მომავლისაკენ.

მნიშვნელოვნად გაიზარდა სახალხო უნგრეთის საერთაშორისო ავტორიტეტი. დიადი სოციალისტური ბანაკის ხალხებთან ერთად უნგრეთი დგას მშვიდობისა და საყოველთაო უშიშროებისათვის მებრძოლთა ავანგარდში.

უნგრელი ხალხი ერთსულოვნად მიესალმება საბჭოთა კავშირის დიდ მშვიდობისმოყვარულ აქტს — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ხესიის გადაწყვეტილებას საბჭოთა კავშირის მიერ ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის ცალმხრივი შეწყვეტის შესახებ. უნგრეთის მშრომელები იბრძვიან იმისათვის, რომ მოეწყოს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნების თათბირი უმაღლეს დონეზე. ამხილებენ ახალი ომის გამჩაღებელთა ბრიკებს.

„ჩვენ, უნგრელები, — თქვა საბჭოთა დელეგაციისადმი მისალმებისას იანოშ კადარმა, — დიდი სიხარულით შევხვდით ცნობას საბჭოთა კავშირის ახალი სამშვიდობო ნაბიჯის შესახებ. მთელი ჩვენი ხალხის სახელით შემიძლია ვთქვა, რომ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მილიონობით მშრომელი კვლავაც, ისევე როგორც დღემდე, ყველაფერში დაუჭერს მხარს საბჭოთა კავშირის ბრძოლას, რომელსაც იგი, სათავეში უდგას რა სოციალისტურ ბანაკს, აწარმოებს მშვიდობისათვის, განიარაღებისათვის, სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების მქონე ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობისა და ხალხთა შორის ნაყოფიერი კავშირის დამყარებისათვის“.

სოციალისტური ქვეყნების მზარდი ძლიერება და ერთიანობა მშრომელთა უდიდესი მონაპოვარია, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების საიმედო გარანტია. აი ამიტომ ყველა სოციალისტური სახელმწიფოს მეგობრობისა და შეკავშირების შემდგომი განმტკიცება დიადი სოციალისტური თანამეგობრობის ხალხთა წმიდა მოვალეობაა.

„პრავდის“ 4/IV მოწინავე

მოლაპარაკება საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიათა და მთავრობათა დელეგაციებს შორის

ბუდაპეშტი, 3 აპრილი. (**საკდესის სპეც. კორ.**). უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო კრების შენობაში, მინისტრთა საბჭოს სხდომათა დარბაზში დღეს დღის 12 საათზე გრძელდებოდა მოლაპარაკება საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიათა და მთავრობათა დელეგაციებს შორის.

საბჭოთა კავშირის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ფ. რ. კოზლოვი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი და საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე ვ. ვ. გრიშინი, უკრაინის კპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, უკრაინის კპ კიევის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი პ. ე. შელესტი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინგრადის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ა. პ. ბოიკოვი და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი უნგრეთში ე. ი. გრომოვი. მოლაპარაკებას ესწრებოდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი ლ. თ. ილიჩოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე თ. თ. მოლოჩკოვი და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის მეხუთე განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებელი პ. ს. დედუშკინი.

უნგრეთის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი იანოშ კადარი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი და უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარე დოქტორი ფერენც მიუნიხი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი და უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ანტალ აპრო, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი იენე ფოკი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი დიულა კალაი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი კარო კიში, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი დიერდ მაროშანი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ენდრე შიკი.

მოლაპარაკებას ესწრებოდნენ უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი იშვან სირმაი, უნგრეთის რევოლუციურ მუშურ-გლეხურ მთავრობასთან არსებული ინფორმაციის სამმართველოს თავმჯდომარე ლასლო დიაროში, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე იშტვან შებეში და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი პალ მანიკი.

მოლაპარაკების დროს, რომელიც გულითად და მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა, გრძელდებოდა აზრთა ურთიერთგაზიარება ორივე მხარისათვის საინტერესო პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ საკითხებზე. გაიმართა აგრეთვე აზრთა გაზიარება საერთაშორისო მდგომარეობის აქტუალურ საკითხებზე.

უნგრეთის განთავისუფლების დღისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა ბუდაპეშტში

ბუდაპეშტი, 4 აპრილი. (საკდესი). გუშინ საღამოს ბუდაპეშტის ოპერის თეატრში გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა ფაშიზმისაგან უნგრეთის განთავისუფლების მე-13 წლისთავს.

თეატრის დარბაზში შეიკრიბნენ ბუდაპეშტის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები — წარმოების მოწინავენი, მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწენი, უნგრეთის სახალხო არმიის, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები და თანამშრომლები, უნგრელი და უცხოელი ჟურნალისტები.

პრეზიდიუმის მაგიდასთან ადგილები დაიკავეს უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა იანოშ კადარმა, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ იშტვან დობიმ, უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარემ ფერენც მიუნიხმა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელებმა.

პრეზიდიუმშია საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით.

საზეიმო სხდომის მონაწილენი მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ უნგრეთის მთავრობის ხელმძღვანელებსა და საბჭოთა სტუმრებს.

გაისმის უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნების მელოდიები.

საზეიმო სხდომა მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ იშტვან დობიმ.

მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარეს, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს ამხანაგ ფერენც მიუნიხს. ამხ. ფერენც მიუნიხს მოხსენება არაერთხელ შეაწყვეტინეს მქუხარე ტაშით.

შემდეგ დამსწრეთ სიტყვით მიმართა საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა. სხდომის მონაწილენი ფეხზე ამდგარნი მიესალმებიან ამხ. ხრუშჩოვს მქუხარე ხანგრძლივი ტაშით. გაისმის შეძახილები: „გაუმარჯოს ამხანაგ ხრუშჩოვს!“, „გაუმარჯოს უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობას!“. ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვს სიტყვა არაერთხელ შეაწყვეტინეს მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით.

დასასრულ საზეიმო სხდომის მონაწილეებმა შეასრულეს პარტიული ჰიმნი „ინტერნაციონალი“.

საზეიმო სხდომის დამთავრების შემდეგ გაიმართა დიდი საღამოსასწაულო კონცერტი.

საბჭოთა კავშირ-უნგრეთის ურღვევი მეგობრობის დღესასწაული

მოსკოვის საზოგადოებრიობის საზეიმო კრება

ფაშისტური მონობისაგან უნგრეთის განთავისუფლების მეცამეტე წლისთავს ფართოდ აღნიშნავენ საბჭოთა ადამიანები. უდიდესი სიმპათიის გრძნობით უგზავნიან ისინი მოძმე უნგრელ ხალხს საუკეთესო სურვილებს ახალი ცხოვრების მშენებლობაში.

ღირსშესანიშნავი თარიღის აღსანიშნავად 3 აპრილს მოსკოვში გაიმართა საზოგადოებრიობის საზეიმო კრება. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საქმეთა სამმართველოს კლუბში შეიკრიბნენ მუშები, ინჟინრები, კულტურის მოღვაწეები, სტუდენტები.

შესავალი სიტყვა წარმოთქვა საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ლ. ნ. სოლოვიოვმა, რომელიც გულითადად მიესალმა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩს სსრ კავშირში იანოშ ბოლდოცკის, აგრეთვე სოციალისტური ქვეყნების ელჩებს, რომლებიც სალამოს დაესწრნენ. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის, უცხო ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის უცხო ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირის, სსრ კავშირის კულტურის სამინისტროსა და საკავშირო პროფსაბჭოს სახელით ამხ. სოლოვიოვმა საზეიმო კრება გახსნილად გამოაცხადა. გაისმა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

უნგრეთის განთავისუფლების მეცამეტე წლისთავის შესახებ მოხსენება გააკეთა საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა — კორესპონდენტმა პ. ნ. ფედოსეევმა.

საზეიმო საღამოზე გამოვიდა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში იანოშ ბოლდოცკი, რომლის სიტყვას დამსწრენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ. (საკდესი).

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მიენიჭოთ **„გმირი დედის“** საპატიო წოდება და გადაეცეთ **„გმირი დედის“** ორდენი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელი დედებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათი შვილი:

1. **აბრამოვას** გერეკი ფილახტის ასულს — კოლმეურნეს, წითელწყაროს რაიონის სოფელი ქვემო ქედი.
2. **აგაიანს** ერიკნაზ ამბარცუმის ასულს — დიასახლისს, ბოგდანოვკის რაიონის სოფელი ფოკა.
3. **ავლოხოვას** თამარ ალექსის ასულს — კოლმეურნეს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ლენინგორის რაიონის სოფელი ფორკოზი.
4. **ბალხამიშვილს** საბედა სოსიას ასულს — კოლმეურნეს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ლენინგორის რაიონის სოფელი ჭორჭოზი.
5. **გიგინეიშვილს** სონია ნიკოლოზის ასულს — დიასახლისს, ლანჩხუთის რაიონის სოფელი ჯიურყეთი.
6. **ძახოხოვას** ლიუბოვ ნიკოლოზის ასულს — დიასახლისს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ქალაქი სტალინირი.
7. **ყოყაძეს** აიშე ჰუსეინის ასულს — კოლმეურნეს, აჭარის ასსრ ქედის რაიონის სოფელი უჩხითი.
8. **ზოიძეს** ხაჯერ ხასანის ასულს — ლენინის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეს, აჭარის ასსრ ბათუმის რაიონი.
9. **ქარდავას** თამარ მელიტონის ასულს — კოლმეურნეს, აფხაზეთის ასსრ ოჩამჩირის რაიონის სოფელი ქოჩარი.
10. **ლიპარტელიანს** დოფოლ მელიტონის ასულს — კოლმეურნეს, ლენტეხის რაიონის სოფელი ნანარი.
11. **პაპისმედოვას** ნაკომ ელიას ასულს — დიასახლისს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ქალაქი სტალინირი.
12. **თურმანიძეს** მერიემ ახმედის ასულს — კოლმეურნეს, აჭარის ასსრ ბათუმის რაიონის სოფელი ხელვაჩაური.
13. **ხარაზიშვილს** ანასტასია სარდიონის ასულს — დიასახლისს, ქარელის რაიონის სოფელი საციხური.
14. **ხარებავას** ქსენია პეტრეს ასულს — კოლმეურნეს, ცხაკაიას რაიონის სოფელი ფოცხო.
15. **ხორავას** თამარ ვლადიმერის ასულს — აფხაზეთის ასსრ გულრიფშის რაიონის კოლმეურნეობა „გამარჯვების“ კოლმეურნეს.
16. **ხუბულოვას** მართა ბაძოს ასულს — კოლმეურნეს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ლენინგორის რაიონის სოფელი წინაგარი.
17. **ხუბულოვას** თიკო ტატოს ასულს — კოლმეურნეს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ლენინგორის რაიონის სოფელი გდულეთი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი, 1958 წ. 3 აპრილი.

ვერიკო ანჯაფარიძის შემოქმედების საღამო

მოსკოვი, 4 აპრილი. (**საქდესის სპეც. კორ.**). გუშინ, მსახიობის ცენტრალურ სახლში გაიმართა სსრ კავშირის სახალხო არტისტის ვერიკო ანჯაფარიძის შემოქმედების საღამო. საღამო მოაწყეს საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ და სრულიად რუსეთის თეატრალური საზოგადოების მსახიობის ცენტრალური სახლის საბჭომ.

საღამო გახსნა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ი. ზავადსკიმ. ნიჭიერი საბჭოთა მსახიობის შემოქმედებითს გზაზე უამბო დამსწრეთ რუსეთის სფსრ სახალხო არტისტმა, კინორეჟისორმა ს. იუტკევიჩმა.

შემდეგ ვ. ანჯაფარიძის შესრულებით ნაჩვენები იყო ნაწყვეტები სპექტაკლებისა: ა. დიუმას „მარგარიტა გოტიე“, უ. შექსპირის „ანტონიოს და კლეოპატრა“, ა. კასონას „ხეები ზეზეულად კვდებიან“. სცენებში მონაწილეობა მიიღეს მსახიობებმა ზ. გომელაურმა, მ. დავითაშვილმა, მ. ჯაფარიძემ, დ. ჭიჭინაძემ, ა. ომიაძემ, ი. ტრიპოლსკიმ, ე. მაღალაშვილმა და სხვებმა.

მაყურებლები მხურვალე ტაშით შეხვდნენ გამოჩენილ მსახიობს. მას მიართვეს ცოცხალი ყვავილების მრავალი თაიგული.

სცენაზე ადიან სსრ კავშირის სახალხო არტისტები ე. გოგოლევა, ს. გიაცინტოვა, ვ. მარეცკაია, მ. კედროვი, რუსეთის სფსრ სახალხო არტისტი ფ. რანევსკაია და სხვები. ისინი მიესალმებიან ვერიკო ანჯაფარიძეს, რომელმაც უჩვენა მათ თავისი შთაგონებული ხელოვნება.

საღამოს დასასრულს ვ. ანჯაფარიძემ გულითადი მადლობა გადაუხადა დამსწრეთ გულთბილი შეხვედრისათვის.

ივანე თევდორეს-ძე თევოსიანის დაკრძალვა

3 აპრილს მოსკოვმა დაკრძალა თვალსაჩინო სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე, საბჭოთა მძიმე მრეწველობის ერთ-ერთი გამოჩენილი ორგანიზატორი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იაპონიაში, სოციალისტური შრომის გმირი ივანე თევდორეს-ძე თევოსიანი.

დილადანვე დაიწყო შესვლა კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში, სადაც მაღალ კვარცხლბეკზე მწვანესა და ყვავილებში დადგმულია ურნა განსვენებულის ნეშტით.

უკანასკნელ საპატიო ყარაულში დგანან დაკრძალვის მომწყობი მთავრობის კომისიის წევრები. კავშირების სახლში შესვლა შეწყდა.

განუწყვეტლივ გაისმის სამგლოვიარო მელოდიები. სვეტებიანი დარბაზიდან ქუჩაში გამოაქვთ გვირგვინები. დაკრძალვის მომწყობი მთავრობის კომისიის წევრები ფრთხილად იღებენ ურნას განსვენებულის ნეშტით და დარბაზიდან გამოაქვთ.

ჯარის ესკორტის თანხლებით სამგლოვიარო პროცესია მიემართება წითელი მოედნისაკენ. აქ ი. თ. თევოსიანის ხსოვნისადმი მიძღვნილ მიტინგზე შეიკრიბა დედაქალაქის ათასობით მშრომელი.

ტრიბუნაზე ადიან ამხანაგები ა. ბ. არისტოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, ნ. ა. ბულგანინი, კ. ე. ვოროშილოვი, ნ. გ. იგნატოვი, ა. ი. კირიჩენკო, ო. ვ. კუუსინენი, ა. ი. მიკოიანი, ნ. ა. მუხიტდინოვი, მ. ა. სუსლოვი, ე. ა. ფურცევა, ნ. მ. შვერნიკი, პ. ნ. პოსპელოვი, ა. ნ. კოსიგინი, დაკრძალვის მომწყობი მთავრობის კომისიის წევრები.

ი. თ. თევოსიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამგლოვიარო მიტინგი გახსნა მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ნ. ი. ბობროვნიკოვმა.

მიტინგზე სიტყვები წარმოთქვეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ა. ნ. კოსიგინმა, მოსკოვის მშრომელთა სახელით — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. ი. უსტინოვმა, ქარხანა „ელექტროსტალის“ მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების სახელით — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, ქარხნის მეფოლადემ ამხ. ა. პ. ჟურავლიოვმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელით — მინისტრის პირველმა მოადგილემ ამხ. ნ. ს. პატოლიჩევმა.

მიტინგი დამთავრებულია. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები და წევრობის კანდიდატები, დაკრძალვის მომწყობი მთავრობის კომისიის წევრები ფრთხილად იღებენ ურნას ი. თ. თევოსიანის ნეშტით და შიდიან კრემლის კედელთან. საარტილერიო სალუტისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნის ხმაზე ურნას დებენ ნიშში და ხუთავენ მარმარილოს დაფით, რომელზედაც არის წარწერა. (საკდესი).

სოფლის მეურნეობის ახალი, დიდი პერსპექტივები

★

პროდუქტების სიუხვისათვის

ქობულეთის რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სამრეწველო საწარმოებსა და ახალ მშენებლობებზე აგიტატორები მშრომელებს დაწვრილებით აცნობენ სსრ კავშირის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის მასალებს, რაც დიდ ინტერესს იწვევს.

— მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაცია და კოლმეურნეობებისათვის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მიყიდვა, — თქვა ქობულეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მემედ ბასილიძემ, — უდიდესი მნიშვნელობის ღონისძიებაა; იგი ხელს შეუწყობს საკოლმეურნეო წყობილების შემდგომ განვითარებას. ჩვენ უკვე შევიძინეთ დიდძალი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. ახლა საკუთარი იარაღ-მანქანებით ვამუშავებთ სახნავ-სათეს ფართობებს, ვსხლავთ ჩაის ბუჩქებს, ვატარებთ ციტრუსოვანთა ნარგავების შეწამვლას ზეთოვანი ემულსიით, გაგვყავს სპლანტაციო და სასოფლო გზები. მექანიზაცია საშუალებას მოგვცემს შარშანდელთან შედარებით გაცილებით უფრო მოკლე ვადებში და მაღალხარისხოვნად შევასრულოთ ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაო. მკვეთრად ავამაღლოთ მოსავლიანობა. ჩვენი გადაწყვეტილებაა წელს მოვკრიფოთ 350 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი — ანუ 28 ტონით მეტი, ვიდრე შარშან, გასულ წელთან შედარებით 15 ტონით გავადიდოთ ციტრუსოვანთა ნაყოფის მოსავალი, საშუალოდ ჰექტარზე მოვიყვანოთ 30 ცენტნერი სიმინდი, თვითეული საფურაჟე ძროხის წველადობა გავადიდოთ სულ ცოტა 250 კილოგრამით.

ამ დღეებში დიდი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობაა სასოფლო-სამეურნეო არტელში. კოლმეურნეები გაცხოველებით ემზადებიან ჩაის ფოთლის კრეფის სეზონისათვის. ნიადაგის გადაბარვა სასუქების შეტანით შემჭიდროებულ ვადებში დაამთავრეს. დასასრულს უახლოვდება ბუჩქების გასხვლა და ციტრუსოვანთა პლანტაციების გადაბარვა, ჩაღდება საგაზაფხულო ხვნა.

სოფელ გვარას ენგელსის სახელობის კოლმეურნეობამ მტს-ისაგან ამას წინათ შეიძინა ორი მძლავრი ტრაქტორი, რომლებსაც აქ ნაყოფიერად იყენებენ. — ყველანი აღფრთოვანებული ვართ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ახლახან დამთავრებული სესიის გადაწყვეტილებებით, — თქვა ამ კოლმეურნეობის აგრონომმა ფედრი გოლიაძემ, — ვალდებულება ვიკისრეთ ჩვენთვის პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ესოდენი ზრუნვის პასუხად გადაჭრით გავუმჯობესოთ პლანტაციების მოვლა და წელს შარშანდელზე 40 ტონით მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოვკრიფოთ, სახელმწიფოს ჩავბაროთ 18 ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი, შემჭიდროებულ ვადებში და მაღალხარისხოვნად დავამთავროთ საგაზაფხულო თესვა, საშუალოდ ხუთი ცენტნერით გავადიდოთ სიმინდის მოსავლიანობა ჰექტარზე.

ყველგან ახალი ძალით ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება მიმდინარე წელს სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავლის მისაღებად.

გ. კილაძე.

გაზეთ „ქობულეთელი კოლმეურნის“ რედაქტორი.

★ ★

ახალ პიროგებში ახალ წარმატებებს მოვიპოვებთ

ჩვენი კოლმეურნეობის წევრები უდიდესი ყურადღებით ადევნებდნენ თვალს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის მუშაობას. ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების გამო სესიის მიერ მიღებული კანონი „საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ“ ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტია და აღგვაფრთოვანებს ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

სესიის მასალების გაცნობისას კოლმეურნეების ფიქრები და აზრები კარგად გამოხატა მოწინავე მწველავმა დ. ტყეშელაშვილმა, რომელმაც განაცხადა:

— საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისაკენ მიმართული კომუნისტური პარტიის ახალი ღონისძიება წინგადადგმული დიდი ნაბიჯია. როცა მიწას ერთი პატრონი ეყოლება, საქმე უკეთესად წავა. ახლა ჩვენი ვალია უფრო მონდომებით ვიმუშაოთ საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ. პირადად მე ვკისრულობ თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მივიღო 1.500 კილოგრამი რძე. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში საშუალოდ თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიღებული მაქვს 85 კილოგრამით მეტი რძე, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში.

ამ დღეებში ენერგიულად შრომობენ მესიმინდეები, მევენახეები და მებოსტნეები. კარგად მოვემზადეთ საგაზაფხულო თესვისათვის. დათესილია პირველი ჰექტარები. ჩვენი ვალდებულებაა მთელი ნათესი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მივიღოთ 20 ცენტნერი სიმინდი, ანუ 2 ცენტნერით მეტი გასულ წელთან შედარებით. წელს ვენახს გავაშენებთ 4 ჰექტარზე და მისი საერთო ფართობი 34 ჰექტარს მიაღწევს. სრულმოსავლიანი ვენახის ყოველ ჰექტარზე მივიღებთ 80 ცენტნერ ყურძენს ნაცვლად 50 ცენტნერისა. გეგმით ერთ ძროხაზე უნდა მივიღოთ 720 კილოგრამი რძე, მაგრამ ავწონ-დავწონეთ ჩვენი შესაძლებლობანი და გადავწყვეტეთ თვითეულ საფურაჟე ძროხაზე გეგმის გადამეტებით მივიღოთ 480 კილოგრამი რძე.

შ. ხონელიძე,

ვანის რაიონის სოფელ ქვედა ბზვანის კოლეტივის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

გაღიდებული ვალდებულებანი

ზუგდიდის რაიონის მშრომელები აღფრთოვანა სსრ კავშირის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის გადაწყვეტილებებმა. ისინი ნაყოფიერად მუშაობენ საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა წარმატებით ჩატარებისათვის.

სოფელ კახათის მარქსის სახელობის კოლმეურნეობა წელს დიდ გეგმებს ისახავს. აქ მოკრეფენ 650 ტონა ჩაის ფოთოლს, ანუ ჰექტარზე საშუალოდ 4.000 კილოგრამს. ჰექტარზე საშუალოდ მიღებულ იქნება 20 ცენტნერი სიმინდი. უხვი მოსავლისათვის ბრძოლა ჯერ კიდევ გასული შემოდგომიდან დაიწყო. დროზე ჩატარდა ჩაის პლანტაციებში აგროტექნიკური ღონისძიებანი. სიმინდის დასათესად მომამზადეს 80 ჰექტარი ახალი მიწა. კოლმეურნეობამ შეიძინა სხვადასხვა მარკის 3 ტრაქტორი მისაბმელი იარაღებით. ამ ტრაქტორებზე მუშაობენ ყოფილი მტს-ის მექანიზატორები გ. სხულუხია, ა. გოგუა და ჭ. მოსია, რომლებიც ახლა კახათის კოლმეურნეობის წევრები არიან.

შარშან სოფელ ოქტომბრის კოლმეურნეობაში ჩაის კრეფის წლიური დავალება 108 პროცენტით შესრულდა. წელსაც დიდი ყურადღება ექცევა, ამ კულტურის მოსავლიანობის ამაღლებას. საუკეთესოდ დაამთავრეს საგაზაფხულო სამუშაოები მეექვსე, მერვე და მეცხრე ბრიგადებმა. გათვალისწინებულია აღდგენილ იქნას 6 ჰექტარი მეჩხერი პლანტაცია. ამ საქმეს მონდომებით შეუდგნენ. კოლმეურნეობის წევრთა სურვილით არტელმა სოციალისტური შეჯიბრება გაიჩაღა უკრაინის სსრ ველიკიე ლუკის კოლმეურნეობასთან.

ყოველ წელს დიდი რაოდენობით კრეფს ჩაის ფოთოლს რუხის კოლმეურნეობა, რომელსაც ორგზის სოციალისტური შრომის გმირი ა. როგავა ხელმძღვანელობს. ჩაის პლანტაციების საშემოდგომო-საზამთრო სამუშაოები კარგად ჩაატარეს რუხელებმა. ახლა პლანტაციებში შეაქვთ აზოტოვანი სასუქის პირველი დოზა. გადაწყვეტილია წელს სახელმწიფოს ჩაბარდეს 1.250 ტონა ხარისხოვანი ფოთოლი. მეჩაიეებს დიდად წაახალისებს წესი, რომლის მიხედვითაც ისინი გეგმის გადამეტებით მოკრეფილ თვითეულ კილოგრამ ჩაიზე დამატებით მიიღებენ 1 მანეთს. დიდი რაოდენობით არის გატანილი საყანე ფართობებში ორგანული სასუქები.

წელს რაიონის მშრომელები სახელმწიფოს მისცემენ 16.025 ტონა ჩაის ფოთოლს, თვითეულ ჰექტარზე მიიღებენ 17 ცენტნერ სიმინდს, ყოველ ძროხაზე საშუალოდ მოწველიან 1.300 ლიტრ რძეს.

გ. მილიუტინი,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

კოლმეურნეთა შრომითი აქტივობა

ახალციხე. (საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებში გაჩაღებულია საგაზაფხულო სამუშაოები. დაბა ვალეს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში უკვე დაამთავრეს ქერისა და ერთწლიანი ბალახის თესვა.

— მზად ვართ დავიწყოთ კარტოფილის რგვა, როგორც კი ნიადაგი გათბება. საკარტოფილე ნიადაგსა და ხეხილის ბაღებში შევიტანეთ 5.000 ტონა ნაკელი, გაგვაქვს მინერალური სასუქი. ყურადღების ცენტრშია ხეხილის ბაღების მოვლა-დამუშავება. ჩატარდა ხეხილის გასხვლა, რკინის ძალით შეწამვლა, კირით შეთეთრება, ძირების შემობარგა. გავაშენეთ 3 ჰექტარი ახალი ბაღი.

კოლმეურნეები გულდასმით ეცნობიან სსრ კავშირის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის მასალებს. ისინი მიესალმებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის დანიშვნას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ და კისრულობენ თვითეულ ჰექტარ ფართობზე გეგმით გათვალისწინებული 140 ცენტნერის ნაცვლად მოიყვანონ 250 ცენტნერი კარტოფილი, 16 ცენტნერის ნაცვლად მიიღონ 24 ცენტნერი ქერი, 14 ცენტნერის ნაცვლად 26 ცენტნერი შემოდგომის ხორბალი.

დიდი აღმავლობა

ტყიბულის რაიონის სოფელ ბუეთის კოლმეურნეობის წევრები უდიდესი ინტერესით ეცნობიან და იწონებენ სსრ კავშირის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის მასალებს. სოფლის მშრომელები განსაკუთრებულ კმაყოფილებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ საბჭოთა მთავრობას სათავეში ჩაუდგა მშრომელთა კეთილდღეობისათვის დაუღალავი მებრძოლი ნ. ს. ხრუშჩოვი.

ყველა კოლმეურნეს უდიდესი მნიშვნელობის ისტორიულ დოკუმენტად მიაჩნია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება „საბჭოთა კავშირის მიერ ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის ცალმხრივი შეწყვეტის საკითხზე“. ეს დადგენილება, როგორც კოლმეურნეები აცხადებენ, კიდევ ერთი დამადასტურებელი ფაქტია იმისა, თუ როგორი თავგამოდებით იბრძვის საბჭოთა მთავრობა, მთელი ჩვენი ხალხი მშვიდობისათვის, ადამიანთა მასობრივი მოსპობის საშუალებათა აკრძალვისათვის.

ბუეთის კოლმეურნეობამ უკვე მიაღწია განვითარების იხეთ დონეს, რომელიც აუცილებელია ჭარხლის საკუთარი სასოფლო-სამეურნეო მანქანები.

ჩვენს კოლმეურნეობას შარშან ემსახურებოდა თერჯოლის მტს-ის სატრაქტორო ბრიგადა. მაგრამ ის გარემოება, რომ მტს-ი ჩვენგან მოშორებით, მეზობელ რაიონში იმყოფებოდა, დიდ უხერხულობას ქმნიდა. ტრაქტორების შორს მანძილზე გადაყვანა იწვევდა დროს დაკარგვას, საწვავი მასალის გადახარჯვას. მექანიზატორები ხშირად იმიზეზებდნენ გუთნების უქონლობას. ამ მიზეზით შარშან 20 ჰექტარამდე ფართობი დაუთესავი დაგვრჩა.

კოლმეურნეობის საკმაოდ დიდი შემოსავალი და განუყოფელი ფონდი საშუალებას გვაძლევს მტს-ისაგან შევიძინოთ სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები. ეს ხელს შეუწყობს სასოფლო-სამეურნეო წარმოების დონის შემდგომ ამაღლებას.

ახლა კოლმეურნე მხვნელ-მთესველები მინდვრად არიან გასული სამუშაოდ. ბრიგადებსა და რგოლებში გაჩაღებულია სოციალისტური შეჯიბრება. ყველა ცდილობს წარმატებით განახორციელოს პარტიის მიერ დასახული ამოცანები, სასახელოდ შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები და მიმდინარე წელს მკვეთრად გაადიდოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება.

დ. ჟასრაშვილი,

ტყიბულის რაიონის სოფელ ბუეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

მეგობრული დახმარება — ქართველ მეცხვარეებს

პირველად საატლის რაიონის სოფელ ხანაკენტის კოლმეურნეობის საძოვრებისაკენ გავემგზავრეთ, აქ თელავის რაიონის სოფლების ყარაჯალის მახარაძის სახელობის და გულგულის სტალინის სახელობის კოლმეურნეობათა ცხვრის ფარებმა გამოიზამთრეს.

თელავის რაიონში ყარაჯალა ერთადერთი სოფელია, სადაც აზერბაიჯანელები ცხოვრობენ. თუ 4-5 წლის წინათ ყარაჯლელებს ჩამორჩენილთა შორის პირველ რიგში ასახელებდნენ, ახლა ასე აღარ არის. ადგილობრივი მკვიდრი ალაიდინ მუსალიევი საუკეთესოდ ხელმძღვანელობს კოლმეურნეობას. ყარაჯლელები სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა დარგში დაწინაურდნენ.

საღამოვდებოდა. ფერმაში, რომ იტყვიან, ცხოვრება დუღდა. ადამიანთა ერთი ჯგუფი საბატკნეების ასუფთავებდა, მეორე — ძაღლებს უმზადებდა საკვებს. დიდ ციცხლზე მწყემსთათვის საჭმელი მზადდებოდა. დაღამდა, ბატკნების მოწოვება დამთავრდა. დედაცხვარი ავლავ საძოვარზე გაისტუმრეს. „კარგად თუ არ დანაყრდნენ, დილით რძე არ ექნებათო“, გვითხრეს მწყემსებმა.

ერთ-ერთი მეტიზებული დედაცხვარი მწყემსების ბინასთან დატოვეს. მას საგულდაგულოდ შემზადებული კონცენტრირებული საკვები მისცეს. ჩვენს შეკითხვაზე, თუ რატომ სცემენ მას ასეთ პატივს, მწყემსმა ა. მაშოევმა გვიპასუხა:

— ეს ცხვარი დიდად პატივსაცემია, სამი ბატკანი მოიგო და გაზარდა. დიდი ხანია ცხვარში დავდივარ და ამისთანა შემთხვევას არ შევხვედრივარ.

ყარაჯლელებმა თვითეულ დედაცხვარზე თითო ბატკანი მიიღეს და შეინარჩუნეს. ეს მეცხვარეების ჯ. ყურბანოღლის, ა. უქანოღლის, ვ. უსეინოღლის, შ. ორუჯოღლის, ლ. ბაგიროღლისა და სხვების მუყაითი შრომის შედეგია.

გულგულის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ივ. მახნიაშვილი მწყემსებს შორის იდგა და კოლმეურნეობის საქმიანობაზე ესაუბრებოდა. მან მეცხვარეებს აუწყა, რომ სასოფლო-სამეურნეო არტელმა უკვე პრაქტიკულად განახორციელა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება. თელავის მტს-იდან შეიძინა ტრაქტორები, კომბაინები, სათესები, კულტივატორები და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები. მწყემსები ამ ამბავს სიხარულით შეხვდნენ.

შარშან გულგულის ფერმაში ადგილი ჰქონდა ცხვრის დაცემას. ეს ძირითადად პირუტყვის მოუვლელობით იყო გამოწვეული. წელს ასე აღარ არის. მეცხვარეებმა დ. კობიაშვილმა, ა. ქართველიშვილმა, ზ. ჯაშიაშვილმა, ი. ესიტაშვილმა, ვ. ჩაველაშვილმა და სხვებმა ცხვარს მზრუნველობა კარ მოაკლეს. მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ დოლი დასასრულს უახლოვდება და ჯერ არცერთი ბატკანი არ დაცემულა.

ყარაჯლელები და გულგულელები ექვსასამდე კილომეტრით არიან დაშორებული მშობლიური სოფლებს. მაგრამ მოძმე აზერბაიჯანელები ქართველ მეცხვარეებს არაფერს არ უჭირვებენ. გულგულის ფერმის გამგე ი. იაკაშვილმა თქვა:

— კვირა ისე არ გავა, რომ ხანაკენტის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გულბალა ალახვერდიევი არ გვესტუმროს. იგი თავისი მახვილი თვალით ათვალიერებს ცხვრის ფარებს, მწყემსთა ბინებს, გვკითხავს, თუ რა გვჭირს და რა გვილხინს, სასწრაფოდ იღებს ზომებს იმისათვის, რომ არაფერი მოგვაკლდეს.

მეგობრული დახმარებაც ეამას ჭქვია!

ალი ბაირამლის რაიონის საძოვრებზე

ალი ბაირამლის რაიონში ნავთობის ღრიდი მარაგი აღმოჩნდა. საძიებო სამუშაოები კვლავ გრძელდება. მზად არის მრავალი ათეული ჭაბურღილი. ნაყოფიერი ველი დაქსელილია მდინარე არეზიდან გაყვანილი არხებით. არხების გაყოლებით თვალუწვდენელი საძოვრებია. აქ აზერბაიჯანელებთან ერთად ქართველმა მეცხვარეებმაც გამოაზამთრეს ცხვრის ფარები.

თელავის რაიონის სოფელ შალაურის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმის გამგე ი. გრიშიკაშვილმა შორიდან შეგვამჩნია, მოგვეგება, საქართველოს ამბები გამოგვკითხა და ფერმაში მიგვიწვია. ბინები დიდი არხის ნაპირზე მოუწყვიათ. შალაურელებს ჯანსაღი ბატკნის მიღებისათვის ბრძოლა ადრევე დაუწყიათ. მართალია, ბალახი ბევრი და ნოყიერი იყო, მაგრამ მაკეობის უკანასკნელ თვეებში ცხვარს ქერს, ქატოსა და სხვა კონცენტრატებს აჭმევდნენ. სათანადო ყურადღებას აქცევდნენ პირუტყვის დარწყულებას.

შალაურელები დოლისათვის საუკეთესოდ მოემზადნენ. თვითეული წვრილმანი გაითვალისწინეს. ყველა ამ ღონისძიებათა შედეგად მეცხვარეობაში „მოსავლის აღება“ — დოლი წარმატებით ჩაატარეს. უკვე 795 დედაცხვარი დადოლდა და ფერმას ამდენივე ბატკანი შეემატა. დოლი გრძელდება.

შირვანში გამოიზამთრეს თელავის რაიონის კურდღელაურის, კონდოლის, რუისპირისა და სხვა კოლმეურნეობების ცხვრის ფარებმაც. ყველგან ბატკნის სამრავლე იგრძნობა.

ნაკლოვანებანი, რომლებიც მეცხვარეებს აწუხებთ

შირვანში საქართველოს კოლმეურნეობების 95 ათასზე მეტი ცხვარი იმყოფება. მას ექვსასამდე კაცი ემსახურება. სამწუხაროდ, მწყემსების სამედიცინო მომსახურება ცუდად არის დაყენებული. მომთაბარე სამედიცინო პუნქტის გამგედ დამტკიცებულია ექიმი დავით პაპისმამედოვი, რომელიც თავის მოვალეობას არ ასრულებს. საზამთრო საძოვრების სამმართველოს უფროსმა ამხ. ზ. ნადირაშვილმა განაცხადა:

— ორი წელია, რაც პაპისმამედოვი საზამთრო საძოვრებზე არ გამოჩენილა. ზაფხულობით იგი „აქტივობს“, საადგილოდ მთაში მიდის. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს კომისიამ დაადასტურა, რომ მომთაბარე მედბუნქტი ცუდად მუშაობს, მაგრამ ამის შემდეგ მდგომარეობა მაინც არ გამოსწორებულა.

მწყემსების მედმომსახურებით არც ჯანმრთელობის განყოფილებები აღიან დაინტერესებულნ. ექიმები ამბვითად, ან სრულიად არ მიდიან საზამთრო საძოვრებზე, როცა მიდიან, მაშინაც იქ ატარებენ დროს, სადაც სასტუმროებია, განა მწყემსები სასტუმროებში ცხოვრობენ?

დაბალ დონეზეა მწყემსების კულტურული მომსახურება. კულტურის სამინისტროს წელს ზირვანის საზამთრო საძოვრებზე არ გაუგზავნია ლექტორები, აგიტმხატვრული ბრიგადები და სხვ. თელავისა და ზოგიერთი სხვა რაიონის არცერთი კოლმეურნეობის თავმჯდომარეს არ მოუფიქრებია, რომ მწყემსებისათვის რადიომიმღები შეეძინა.

საატლში ციკავშირს გახსნილი აქვს სამრეწველო და სასურსათო საქონლის მაღაზია. მართალია, იგი უხვად მარაგდება, მაგრამ განა შეიძლება 100-200 კილომეტრით დაშორებული ფერმებიდან მწყემსები პაპიროსის, ასანდეს, შაქრისა და სხვა პირველი მოთხოვნილების საგნების მესამენად საატლში წავიდნენ? უკეთესი იქნებოდა, რომ მაღაზიასთან ერთად ციკავშირის გამგეობას გამოეყო „ავტოდუქანი“, რომელიც დრო და დრო მიივლიდა მეცხვარეების სამუშაო ადგილებამდე.

მომთაბარე რაიონების ხელმძღვანელებს უძნელდებათ ყოველთვის იყვნენ საძოვრებზე. არსებული მდგომარეობის კურსში, რატომ არ შეიძლება საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრომ ითავოს და კავშირგაბმულობის რაიკანტორებთან მოაწყოს პატარა სადგურები საზამთრო საძოვრებთან რადიოკავშირის დასამყარებლად.

მწყემსები დიდ გულისტკივილს გამოთქვამენ იმის გამო, რომ ცხვრის გადასარეკი ტრასის გაყოლებით ნაკვეთები მთლიანად გადახნულია. ნორმალურ პირობებში ცხვარი დღეში 25 კილომეტრს უნდა გადიოდეს, მაგრამ იმის გამო, რომ საძოვრები, დასასვენებელი ადგილები აღარ არის, პირუტყვს 50 კილომეტრის გავლა უხდება. ეს დიდ ზარალს იწვევს.

კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების დიდი ნაწილი მეცხვარეების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის ჯერჯერობით მზრუნველობას არ იჩენს. შირაქში ლაფანყურის, ლალისყურის, ვარდისუბნის (თელავის რაიონი) და ზოგიერთ სხვა კოლმეურნეობათა მეცხვარეები მიწურებში ცხოვრობენ. ბევრგან მწყემსებს აკლიათ სპეცტანსაცმელი. ასე არ მოხდებოდა, რომ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები ახლოს იცნობდნენ მწყემსების ცხოვრებას. ისე გავიდა ზამთარი, რომ თეთრი წყაროს რაიონის ახალსოფლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობიდან შირვანში, სადაც ცხვარი ჰყავთ, არავინ არ ყოფილა.

რამდენიმე დღეც, და საზამთრო საძოვრებიდან ცხვარი დაიძვრება საზაფხულო იალაღებისაკენ. პირუტყვის უდანაკარგოდ გადარეკვა პასუხსაგები საქმეა.

რაიონების ხელმძღვანელმა ორგანოებმა, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ ცხვრის მთელი სულადობის შესანარჩუნებლად.

ს. ძოწლაძე,

„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

ახალი სიმაღლეებისაკენ

უკანასკნელ წლებში ჩვენი კოლმეურნეობა ეკონომიურად გაცილებით ძლიერი, ტექნიკურად აღჭურვილი საზოგადოებრივი მეურნეობა გახდა. მნიშვნელოვნად ამაღლდა კოლმეურნეთა კეთილდღეობა. ამ საქმეში დიდი როლი შეასრულა სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და შემდგომი პლენუმების, პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებმა.

მოვიყვან ზოგიერთ ციფრს, რომლებიც ცხადყოფენ ჩვენი სასოფლო-სამეურნეო არტელის ეკონომიკის ზრდასა და განმტკიცებას 1953-1957 წლების პერიოდში. 1957 წელს 1953 წელთან შედარებით გაიზარდა: მარცვლეულის საერთო მოსავალი — 2,2-ჯერ, მზესუმზირისა—2,4-ჯერ, რძისა — 2,1-ჯერ, ხორცისა — 1,8-ჯერ. საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებასთან ერთად განუხრელად მაღლდებოდა კოლმეურნეობის ფულადი შემოსავალი. თუ იგი 1953 წელს მხოლოდ 3.200 ათას მანეთს შეადგენდა, 1957 წელს 7.320 ათას მანეთს მიაღწია. განუყოფელი ფონდი შესაბამისად 8.300 ათასი მანეთიდან 14.260 ათას მანეთამდე გაიზარდა. გასულ წელს გამომუშავებულ თვითეულ შრომადღეზე გავეცით 6 კილოგრამი ხორბალი, 800 გრამი მზესუმზირა, გარდა ამისა ღვინო, რძე, ხორცი და 9 მანეთი ფული.

უკანასკნელი 4-5 წლის მანძილზე განსაკუთრებით დიდი გარდატეხა მოხდა საზოგადოებრივ მეცხოველეობაში. აგებულ იქნა ორ ათეულზე მეტი ბინა ძროხის, ცხვრის, ღორისა და ფრინველისათვის, 3.400 ტონის ტევადობის სასილოსე ნაგებობანი, პროდუქტების შესანახი 5 საწყობი, გარაჟი, საველე კაპიტალური ბინები. მთლიანად იცვალა სახე არბოშიკმა. სოფელს ამშვენებს კოლმეურნეობის კანტორის ლამაზი შენობა, კულტსახლი, საავადმყოფო, აფთიაქი, აბანო. უკანასკნელ 3-4 წლიწადში 300-მდე მკვიდრმა აიშენა კეთილმოწყობილი ბინა, სოფელი მთლიანად რადიოფიცირებული და ელექტროფიცირებულია.

სსრ კავშირის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონი „საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ“ სოფლის მეურნეობის მშრომელთა წინაშე მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის შემდგომი მძლავრი განვითარების ახალ პერსპექტივებს შლის. კოლმეურნეთა ერთსულოვანი მხარდაჭერისა და მოთხოვნის საფუძველზე ჩვენ გამარჯვების მტს-ისაგან უკვე შევისყიდეთ 1.205 ათასი მანეთის ტრაქტორები, კომბაინები, იარაღ-მანქანები, მოწყობილობა. ეს ტექნიკა ამჟამად კოლმეურნეობის განკარგულებაშია და საკოლმეურნეო მინდვრებზე მუშაობს.

პარტიისა და მთავრობის ზრუნვის პასუხად ყველაფერს გავაკეთებთ. 1958 წელს სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგში უფრო მაღალი მაჩვენებლების მოსაპოვებლად. ჩვენი ვალდებულებაა წელს თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მივიღოთ 1.900 ლიტრი რძე (შარშან მიღებული 1.448 ლიტრის ნაცვლად), თვითეულ ცხვარზე—3,2 კილოგრამი მატყლი. ყოველ ჰექტარზე მოვიყვანთ 18 ცენტნერ ხორბალს, ანუ შარშანდელზე 2,3 ცენტნერით მეტს, 90 ცენტნერ ყურძენს (შარშანდელზე 30 ცენტნერით მეტს).

უხვი მოსავლისათვის ბრძოლის პირველი ეტაპი — საგაზაფხულო სამუშაოები — ჩვენთან სწრაფად და ორგანიზებულად მიმდინარეობს.

ა. გოგაშვილი,

წითელწყაროს რაიონის სოფელ არბოშიკის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის მონაწილე.

ნაკლოვანებანი, რომლებიც მეცხვარეებს აწუხებთ

შირვანში საქართველოს კოლმეურნეობების 95 ათასზე მეტი ცხვარი იმყოფება. მას ექვსასამდე კაცი ემსახურება. სამწუხაროდ, მწყემსების სამედიცინო მომსახურება ცუდად არის დაყენებული. მომთაბარე სამედიცინო პუნქტის გამგედ დამტკიცებულია ექიმი დავით პაპისმამედოვი, რომელიც თავის მოვალეობას არ ასრულებს. საზამთრო საძოვრების სამმართველოს უფროსმა ამხ. ზ. ნადირაშვილმა განაცხადა:

— ორი წელია, რაც პაპისმამედოვი საზამთრო საძოვრებზე არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მადლობა მოსკოველებს, მადლობა მშობლიურ პარტიას

ლაპარაკობენ ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის მონაწილენი

★

დიდი მოვალეობის წინაშე

რა აღფრთოვანება უნდა შევადაროთ იმ სიხარულს, რომელიც ჩვენ განვიცადეთ მოსკოვში მეტად საინტერესო დეკადის დღეებში. სპექტაკლებზე თუ ლიტერატურულ საღამოებზე, შეხვედრებისა თუ ლექცია-მოხსენებების დროს — ყველგან მოსკოველთა დიდი ინტერესი იგრძნობოდა.

უთუოდ კარგად მომზადებულა ჩვენი რესპუბლიკა დეკადისათვის. სახვითი ხელოვნების გამოფენაზე, რომელიც სამხატვრო აკადემიის დიდ დარბაზშია გახსნილი, წარმოდგენილია ყველა ჟანრი — ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება, კერამიკა, და ყველა მომხიბვლელია თავისი იდეური ჩანაფიქრით. მხატვრული ოსტატობით.

რა გულთბილად ათვალიერებენ, აფასებენ, მსჯელობენ ცალკეულ სურათებზე მოსკოველები. ჩვენ აღგვაფრთოვანა მათმა გულწრფელობამ და სიყვარულმა ქართული კულტურისადმი.

ეს გულწრფელობა, სიყვარული გვავალდებულებს უფრო ავიმაღლოთ შემოქმედებითი ოსტატობა, მეტი სიახლე შევიტანოთ ჩვენს ნამუშევრებში.

ლ. ბუდიაშვილი,
საქართველოს სახალხო მხატვარი.

დიდება მოსკოვს

რუსი მეგობრების ყურადღება და დაფასება მავალდებულებს კვლავ ახალი ენერგიით მოვკიდო ხელი საყვარელ საქმეს. გავითვალისწინო ყველა ის საქმიანი მითითება, რომელიც მუსიკისმცოდნეებმა, მაყურებლებმა გამოთქვეს.

ვტოვებთ რა საყვარელ მოსკოვს, დედა საქართველოსაკენ მიგვაქვს რუსი ხალხის ძმური სიყვარული ჩვენი თვითმყოფი კულტურისადმი, ქართველი ხალხისადმი.

დაე ჩვენც, ქართველ კომპოზიტორებს, ეს მეგობრობა ისე მძლავრად აგვეყოლერებინოს ჩვენს ახალ ნაწარმოებებში, როგორც მოძმე ხალხთა შორის ეს სიყვარული ყოლერდა ჩვენს თეატრებში დეკადის დაუვიწყარ დღეებში.

დიდება მოსკოვს, ჩვენი გულითადი მადლობა მოსკოველებს ასეთი თბილი, კეთილი, ძმური მიღებისათვის.

დ. თორაძე,
კომპოზიტორი.

მაღალი შეფასება

ქართველი მსახიობების დედაქალაქში ჩამოსვლა და მოსკოველი მაყურებლის წინაშე თავისი ოსტატობის ჩვენება ყოველთვის ანგარიშის ხასიათს ატარებს. იგი წარმოადგენს კარგ ფილტრს, რომელშიც სწორად ჩანს ჩვენი ღირსებები და ნაკლოვანებები, გვაძლევს დიდ სტიმულს ჩვენი ხელოვნების შემდგომი აყვავებისა და განვითარებისათვის.

ჩვენ, ახალგაზრდა მსახიობები, მოუთმენლად ველოდით მოსკოვში საქართველოს ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის დაწყებას, ვღელავდით და ვამაყობდით, რომ საოპერო სცენის განთქმულ ოსტატებთან ერთად უნდა გვეჩვენებინა ჩვენი რესპუბლიკის საოპერო ხელოვნების მიღწევები.

დეკადის დღეებში დიდი თეატრის სცენაზე მაყურებელთა წინაშე წარდექი ივანე ერისთავის როლში კომპოზიტორ დ. თორაძის ოპერა „ჩრდილოეთის პატარძალში“ და რაიმონდის როლში პ. ჩაიკოვსკის ოპერა „ორლეანელ ქალწულში“. მონაწილეობა მივიღე აგრეთვე ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დასკვნით კონცერტში.

ახალგაზრდა მსახიობები გულწრფელ მადლობას ვუძღვნით ჩვენს მეგობარ რუს ხალხს, რომელმაც ასეთი უდიდესი სტუმართმოყვარეობით მიგვიღო და მაღალი შეფასება მისცა ჩვენს ხელოვნებას.

ვტოვებთ ჩვენი სამშობლოს დედაქალაქს და თან მიგვაქვს ახალი აზრები, მისწრაფებები. თბილისში დაბრუნებისას განვაგრძობ მუშაობას ბუკიას ოპერა „არსენაზე“. კლასიკური რეპერტუარიდან განხორციელების პროცესშია რადამესის პარტია ვერდის ოპერა „აიდადან“, რომელზეც ორ წელზე მეტია ვმუშაობ.

ნ. ანდღულაძე,
თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი.

★ ★ ★

გმადლობთ, მოსკოველო მეგობრებო!

მსახიობი, რამდენ წელსაც უნდა მოღვაწეობდეს სცენაზე, ყოველთვის ელოდება ამ მღელვარებას განიცდის ფარდის აწევის წინ იმათთან შეხვედრისას, ვინც მისი შემოქმედების პირუთვნელი მსაჯი უნდა გახდეს.

ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ ასეთი მღელვარების გრძნობით იყო შეპყრობილი თვითეული ჩვენგანი მოსკოვში საქართველოს ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის დღეებში.

მაგრამ ასეთსავე მღელვარებას ვგრძნობდით თვით მოსკოვის საზოგადოებრიობის მხრივაც. აშკარად ჩანდა, რომ მოსკოველი მასპინძლები ჩვენთან ერთად იყვნენ დაინტერესებულნი დეკადის წარმატებით, გულისხმიერად გვეპყრობოდნენ, თანაგვიგრძნობდნენ, სიხარულით იზიარებდნენ ჩვენს წარმატებებს.

ჩვენ, ქორეოგრაფიული ხელოვნების წარმომადგენლებს, უზომოდ გვახარებს, რომ მოსკოველებმა ასე გულთბილად მიიღეს ქართული ბალეტები „ოტელო“ და „გორდა“ და მაღალი შეფასება მისცეს მათ დადგმას, საბალეტო დასის მაღალ შემსრულებლობითს ოსტატობას.

შემოქმედებით მუშაკებს კარგად გვესმის, თუ რა უდიდეს პასუხისმგებლობას გვაკისრებს ქართული საბალეტო ხელოვნების ეს წარმატება. ჩვენი მიზანია ვიბრძოლოთ ხელოვნებაში ახალი მიღწევებისათვის, გავამდიდროთ საბჭოთა კულტურის საგანძური, შემდგომაც შევქმნათ საბალეტო ხელოვნების ისეთი ნიმუშები, რომლებიც ჩვენი მშვენიერი ეპოქის, საბჭოთა ხალხის ღირსი იქნება, შევასრულოთ და გავამართლოთ ის დიდი იმედები, რომლებსაც ამყარებს მშობლიური კომუნისტური პარტია შემოქმედებითს ინტელიგენციაზე.

მადლობთ, ჩვენო მოსკოველო მეგობრებო!

ვ. ჭაბუკიანი,
სსრ კავშირის სახალხო არტისტი.

ქართული კულტურის ზეიმი

ჭეშმარიტად ქართული კულტურის ზეიმი იყო მოსკოვში ჩვენი ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადა.

მოსკოვის ქუჩებში, მეტროში, ავტობუსებში, ტრამვაიში ახლაც ჩვენი დეკადის შესახებ არის საუბარი.

— ეტყობა რამოდენიმე წელიწადი დღედაღამე მუშაობდნენ ქართველები და კარგადაც მოუმზადებიათ დეკადა — ეუბნებოდა ამ დილით ჩვენი სასტუმროს დერეფანში ერთი ახალგაზრდა ჭარმაგ მოსკოველს. თანამოსაუბრემ მრავლისმეტყველად შეხედა და უპასუხა: — შენა გგონია, როგორც არ უნდა მოიწადინო, თუ გინდ, ათეულ წელიწადში, შეიძლება ასეთი დეკადის მომზადება?.. საქართველოს ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადა ათასი წლობით მზადდებოდა. მას ამზადებდა შოთა რუსთაველი და ილია ჭავჭავაძე, ბექა ოპიზარი და ზაქარია ფალიაშვილი.

ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დიდ გამარჯვებას მოსკოველები განიხილავენ როგორც ქართველი ხალხის უდიდესი და უძველესი კულტურის შედეგს, იმ კულტურისა, რომელიც დაიწყო ჯერ კიდევ კაცობრიობის ისტორიის გარიჟრაჟზე და ახლა, საბჭოთა ხელისუფლების წლებში, უმაგალითო აღმავლობას მიაღწია.

სითბო, სიყვარული, მეგობრობა... აი რას ვგრძნობდით მოსკოვში ყოველ ნაბიჯზე. დონის მონასტერში, სადაც ყვავილებით შეგამკეთ არჩილის და ვახუშტის საფლავები, თუ კრემლის გალავანთან ვიყავით, ჩვენს გულში ფრთას შლიდა სიმღერა მეგობრობისა...

რა კაცია, ეზო-კარი
ვინც ნარ-ეკლით შემოლობა.
გაუმარჯოს ძმადშეფიცვას,
სიყვარულს და მეგობრობას.

გაუმარჯოს, ვისი გულიც
სამშობლოზე ფიქრით ღელავს,
ვინც შეპხარის მეგობრობას
და მშვიდობის ცისარტყელას.

გაუმარჯოს გორის ციხეს,
საქართველოს წმიდა კერას,
გაუმარჯოს კრემლის ვარსკვლავს,
კურანტების ხმატკბილ ეღერას.

ჩვენ თამარის შუქი გვედვა,
ჩვენ რუსთველის სიბრძნე
გვზრდიდა:
— ხამს მოყვარე მოყვრისათვის
თავი ჭირსა არ დამრიდად.

მეგობრობის შუქი გვფარავს,
მისი ძალა გვზრდის და გვზრდიდა:
— გული მივცეთ გულისათვის,
სიყვარული გზად და ხიდად!

ი. ნოდეშვილი.

მოსკოვი.
I. IV—58 წ.

★ ★ ★

სიყვარულით, მადლობის გრძნობით

ყველა ჩვენგანი, დეკადის თვითეული მონაწილე, დღეს ბედნიერია! ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის წარმატებამ ფრთები შეგვასხა, კიდევ უფრო გააძლიერა ჩვენი შემოქმედებითი ენერგია.

საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულ ანსამბლს, შეიძლება ითქვას, მსოფლიო აქვს შემოვლილი. საბჭოთა კავშირში თითქმის არ არის ისეთი კუთხე, სადაც ჩვენ არ ვყოფილიყავით, არ გაგვემართოს ქართული ცეკვის საღამოები. ხშირად ვმოგზაურობთ უცხოეთშიც. მაგრამ არასოდეს, არსად არ განგვიცდია ასეთი მღელვარება, როგორც ახლა, მოსკოვში, ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის დღეებში.

ჩვენ ხომ უნდა შევეფასებინეთ ყველაზე მოწინავე კულტურის მქონე საზოგადოებას, მეტად მომთხოვნ მოსკოველ მაყურებელს. ქართველი ხალხი საუკუნეების განმავლობაში ცეკვებში გამოხატავდა თავის ფიქრებს, ოცნებას, მისწრაფებებს და სწორედ ამიტომ გვინდოდა ქართული ცეკვების მრავალმხრივი შინაარსით გამოგვეხატა ქართველი ხალხის მაღალი კულტურა, ერის დაუშრეტელი შესაძლებლობანი, ბედნიერი ღღევანდელი დღე, მისი სწრაფვა, შემოქმედებითი შრომა, მიმართული კიდევ უფრო უკეთესი მომავლის აშმყოდ ქცევისაკენ. განსაკუთრებით სასიხარულო და საამაყოა, რომ მთელმა ჩვენმა დეკადამ ასეთ მაღალ დონეზე ჩაიარა. საღამოებზე შეხვედრებისას ყველგან ვგრძნობდით, რომ ჩვენს გარშემო იყვნენ მეგობრები, რომლებიც თანაუგრძნობენ ჩვენს წარმატებებს, იზიარებენ ჩვენს სიხარულს.

ვბრუნდებით თბილისში და თან მოგვყვება სიყვარული მოსკოვისადმი, მისი შეუდარებელი სილამაზისადმი, ჩვენი რუსი მეგობრებისადმი. ვბრუნდებით, რათა განვაგრძოთ სისტემატური მუშაობა, ყოველდღიური წვრთნა ჩვენი ხელოვნების შემდგომი დახვეწისათვის.

საქართველოს ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის შედეგები დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს. ვალავ უნდა განვაგრძოთ შემოქმედებითი ძიება ხალხური ცეკვების ნიადაგზე ახალი, ლამაზი ცეკვების შესაქმნელად.

დიდი მადლობა მოსკოველებს გულთბილი, ნამდვილად მეგობრული მიღებისათვის. ახალ შეხვედრამდე, მეგობრებო!

ნ. რამიშვილი,
ი. სუხიშვილი,
რესპუბლიკის სახალხო არტისტები.

მოღის ნიჭიერი ახალი თაობა

ყველაზე სასიხარულო ის არის, რომ ქართველი საბჭოთა მხატვრები დეკადაზე წარდგნენ მაღალიდეური და მხატვრულად სრულყოფილი სურათებით. მათ ნამუშევრებში ოდნავადაც არ იგრძნობოდა არარეალისტური ხელოვნების ელემენტები. განსაკუთრებით ფართო, მრავალფეროვანი, და დიდი მასშტაბისა იყო ქანდაკება, გრაფიკა.

გამოფენა, რომელმაც მოსკოველები აღაფრთოვანა, აღსანიშნავია იმით, რომ ძველი თაობის მხარდამხარ გაბედულად არიან წარმოდგენილი ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდა მხატვრები. ათვალიერებ მათ ნამუშევრებს და გრძნობ დიდ შემოქმედებითს ენერგიას, სიახლეს, მონუმენტურობას.

პირდაპირი, მომთხოვნი, მაგრამ სამართლიანი იყვნენ ჩვენს მიმართ მოსკოველი ხელოვნებისმცოდნეები და გამოფენის რიგითი დამთვალიერებლები. მათ საკმაოდ საგულისხმო შენიშვნები მოგვცეს გამოფენის ექსპონატების განხილვის დროს. ვიგრძენით ნამდვილი ახლო მეგობრები, რომლებსაც ისევე აღელვებთ ჩვენი კარგი და ავი, როგორც ჩვენ, ქართველებს.

ასეთი სათუთი დამოკიდებულება ქართული სახვითი ხელოვნებისადმი გვავალდებულებს ვიბრძოლოთ მეტი ოსტატობისათვის, რომ საბჭოთა მხატვრების ნაწარმოებთა 1960 წლის საკავშირო გამოფენაზე, რომელიც მოსკოვში გაიმართება, წარვდგეთ უნაკლო, დასრულებული, მონუმენტური ტილოებით სახვითი ხელოვნების ყველა ჟანრში.

სადეკადო გამოფენამ ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა, რომ, მიუხედავად უკანასკნელ წლებში მიღწეული ერთგვარი წარმატებებისა, ჩვენი პეიზაჟისტების მიერ სათანადოდ არ არის გადმოცემული საქართველოს ბუნების სიდიადე. ჩვენი ვალია, ხოლო ამისი ძალა და უნარი შეგვწევს, შეეგქმნათ მხატვრულად სრულყოფილი ტილოები საქართველოზე, გაჩვენოთ ჩვენი რესპუბლიკის თვალწარმტაცი ბუნების მრავალფეროვნება.

აპ. ჟუთათელაძე,
ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

★

ჩვენ პოეზიის სიყვარულმა დაგვამეგობრა

მოსკოვი თოვლით დაგვიხვდა, მაგრამ ერთმანეთის გაცნობამ, ძმობამ და გრძნობამ მალე გაადნო იგი, სიცივე სითბომ შეცვალა.

ჩვენ ჩვენი ქართული ლექსებით გამოვდიოდით სხვადასხვა დაწესებულებაში. და წარმოიდგინეთ, ქართული ლექსი მსმენელთათვის არ იყო უცხო, დამსწრენი ტაშით გვაჯილდოებდნენ.

პირველი დეკადის შემდეგ ბევრი ახალგაზრდა რუსი პოეტი გამოჩნდა მოსკოვში. გავიცანით და სიყვარულით მივესალმეთ ერთმანეთს. გამახსენდა ქართული ანდაზა „ერთი ნახვა ცნობაა, ორი ნახვა ძმობაა“.

დეკადამ, როგორც მოსალოდნელი იყო, დიდებულად ჩაიარა. ჩვენს გამოსვლებს რომ თავი დავანებოთ, ქართველი მხატვრების მდიდარმა გამოფენამ აღტაცებაში მოიყვანა მოსკოვის საზოგადოებრიობა. ახლა ბალეტი „ოტელო“! დრამა „ოიდიპოს მეფე“! სიმღერები! ცეკვები! ბევრი დეკადა გვინახავს, ამბობდნენ მოსკოველები, მაგრამ ქართული დეკადა სულ სხვანაირია, ნიჭიერება და საოცრება ერთმანეთს ეჯიბრებოდაო. მოსკოვის პრესაც აღტაცებული წერილებით შეგვხვდა.

მთელი მოსკოვი მორთული იყო ლამაზი აფიშებით, თითქმის ყველა მაღაზიის შუშაბანდში გამოფენილი იყო დადგმების უზარმაზარი მაკეტები. ხოლო მაღაზიებში პატარა საგნებსაც კი ეტიკეტი ჰქონდა მიკრული— „ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადა“.

ყველაფერი ეს სიამაყით ავსებს ჩვენს გულს და გვავალებს უფრო მეტი პასუხისმგებლობის გრძნობით ვიმუშაოთ ქართული კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის.

ჩვენ პოეზიის სიყვარულმა დაგვამეგობრა.

ი. გრიშაშვილი,
პოეტი-აკადემიკოსი.

ნარუშლელი შთაბეჭდილებანი

დეკადამ წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე.

აღარაფერს ვიტყვი ქართული ხელოვნების საამაყო ქმნილებების „ოიდიპოს მეფეს“ და „ოტელოს“ დადგმებზე, რომელთა შესახებ ასე კარგად და ვრცლად დაიწერა მოსკოვის და თბილისის პრესაში. მიხარია, რომ თვითონ ვიყავი მოწმე იმ საყოველთაო, მართლაც განსაცვიფრებელი ინტერესისა, რომელსაც მოსკოველები იჩენდნენ ჩვენი ქართული თეატრის, მუსიკის, მხატვრობისა და ლიტერატურისადმი.

სხვა ქართველ მწერლებთან ერთად მივიღე მონაწილეობა ლიტერატურულ საღამოებში. ასეთი საღამოები ყოველდღე იმართებოდა მთელი დეკადის განმავლობაში.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი პოეტების ნაწარმოებთა განხილვას სსრ კავშირის მწერალთა კავშირში, რაც სამ დღეს გაგრძელდა. განხილვაში მონაწილეობა მიიღო 30-ზე მეტმა რუსმა პოეტმა და ლიტერატორმა. ამ განხილვის დროს ჩვენი პოეტების წიგნებთან ერთად შეფასებული იქნა ჩემი ლექსების წიგნიც, ახლახან გამოცემული „სოვეტსკი პისატელის“ მიერ.

თვალსაჩინო რუსი მწერლებისა და კრიტიკოსების მიერ გამოთქმულმა აზრმა, იმ ყურადღებამ, რაც მათ ჩემი ლექსებისადმი გამოიჩინეს, ხალისი შემმატა ახალი, დაუცხრომელი ძიებისათვის. ამასთან ერთად ცხადად ვიგრძენი, თუ რა ცოტა მაქვს გაკეთებული ამჟამად და რამდენი უნდა გავაკეთო მომავალში, რათა ღირსი ვიყო საბჭოთა პოეტის მაღალი წოდებისა.

ვ. ძვლივიძე,
პოეტი.



საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები მიესალმებიან ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის მონაწილეებს დასკვნით კონცერტზე სსრ კავშირის დიდ თეატრში.

ყველა ქვეყნის ხალხები მიესალმებიან საბჭოთა კავშირის დიდ სამშვიდობო ინიციატივას

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება ჩვენს ქვეყანაში ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ კვლავ მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია. მშვიდობისმოყვარე ხალხებმა ერთხელ კიდევ დაინახეს, რომ საბჭოთა კავშირი არა სიტყვით, არამედ საქმით ამტკიცებს თავის მისწრაფებას საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღებისადმი, მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებისადმი.

★ ★ ★

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა

„კაცობრიობის ბედნიერი მომავლის მომასწავებელი“

როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, გაზეთმა „ჟენმინჟიბაომ“ სათაურით „კაცობრიობის ბედნიერი მომავლის მომასწავებელი“ 1 აპრილს დაბეჭდა მოწინავე სტატია, რომელიც მიძღვნილია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებისადმი ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის ცალმხრივი შეწყვეტის საკითხზე.

სტატიაში ნათქვამია:

31 მარტს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ორივე პალატის გაერთიანებულ სხდომაზე სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ანდრია გრომიკომ გააკეთა განცხადება ატომურ.. და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ და მოუწოდა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთს მიიღონ ანალოგიური გადაწყვეტილებანი.

ამ უკანასკნელ წლებში ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტა ყველა ქვეყნის ხალხთა ფართო მასების საერთო მოთხოვნა გახდა. ამა წლის იანვარში 44 ქვეყნის ცხრა ათასზე მეტმა ცნობილმა მეცნიერმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას გაუგზავნა მიმართვა, რომელშიც ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ატომგულის იარაღის გამოცდის შეუზღუდველი წარმოება დამღუპველ გავლენას ახდენს ამჟამად მცხოვრებ ადამიანთა და მომავალ თაობათა ჯანმრთელობაზე.

საბჭოთა კავშირი წარსულშიც მტკიცედ და თანმიმდევრულად ახორციელებდა ღონისძიებებს, რათა ხელი შეეწყო ატომგულის იარაღის გამოცდის დაუყოვნებლივ შეწყვეტის შესახებ შეთანხმების მიღწევისათვის საბჭოთა კავშირს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიებზე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტის სხდომებზე და დასავლეთის სახელმწიფოთა მთავრობების მეთაურებისადმი წერილებში უმაღლეს დონეზე თათბირის მოწვევის საკითხზე არაერთგზის მიუმართავს შესაბამისი ქვეყნებისათვის დაუყოვნებლივ შეეწყვიტათ 2-3 წლით ატომგულის იარაღის გამოცდა და მოუთხოვნია საერთაშორისო კონტროლის დაწესება ამ მხრივ. საბჭოთა კავშირის ყველა ეს წინადადება სავსებით განსახორციელებელია. დასავლეთის ქვეყნების პოლიტიკური წრეების ბევრ გავლენიან პირსაც კი მიაჩნია, რომ ეს წინადადებანი მისაღებია. მაგრამ საბჭოთა კავშირის ეს ღონისძიებანი უარყვეს დასავლეთის ქვეყნებმა ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით. ამერიკის შეერთებული შტატები სულ ამ უკანასკნელ დრომდე წინანდებურად აფურხებენ ამ საკითხის გადაჭრას, უკავშირებენ რა მას იმ პირობას, რომ ამავე დროს შეწყდეს ომის მიზნით ხელჩადი მასალების წარმოება.

ადგანან რა ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციის მაგვარ პოზიციას, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი აგრეთვე აჭიანურებენ და უარყოფითად ეკიდებიან ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხის გადაჭრას.

ცხადია, პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ ჯერაც არ განხორციელებულა ყველა ქვეყნის ხალხების სურვილი, რომლებიც ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტას მოითხოვენ, მთლიანად ეკისრება დასავლეთის ქვეყნებს, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებს.

მიუხედავად ამისა, ანგარიშს უწევს რა ყველა ქვეყნის ხალხთა მისწრაფებას, საბჭოთა კავშირმა თავისი ინიციატივით გადაწყვიტა ცალმხრივი წესით შეწყვიტოს ატომგულის იარაღის გამოცდა იმ პირობით, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ინგლისმაც განახორციელონ ანალოგიური ღონისძიებანი. შეერთებულ შტატებს, ინგლისს და დასავლეთის იმ ქვეყნებს, რომლებსაც ამჟამად ჯერ კიდევ არ შეუძლიათ აწარმოონ ატომგულის იარაღი, აქვთ თუ არა რაიმე საფუძველი უარი თქვან ანალოგიურ ღონისძიებათა განხორციელებაზე?

მაგრამ ხალხებს არ შეუძლიათ ყურადღება არ მიაპყრონ იმას, რომ დასავლეთის ქვეყნები ამჟამად კვლავ აძლიერებენ ატომური ომისათვის მზადებას. ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი ერთობლივად ქმნიან რაკეტულ ბაზებს ინგლისის ტერიტორიაზე. ამერიკის შეერთებულ შტატებს ატომური იარაღი შეაქვთ თავიანთ სამხედრო ბაზებზე, რომლებიც განლაგებულია მსოფლიოს სხვადასხვა რაიონში. ყოველივე ეს ეწინააღმდეგება საერთაშორისო დაძაბულობის შენელების კურსს.

ატომური და წყალბადის იარაღის მქონე ქვეყნებს შორის დღემდე მარტო საბჭოთა კავშირი ამჟღავნებს, რომ გულწრფელად არის მზად დაუყოვნებლივ დადოს შეთანხმება ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ. ამიტომ საბჭოთა კავშირის განცხადება ატომგულის იარაღის გამოცდის ცალმხრივი შეწყვეტის შესახებ ნიშნავს მხოლოდ პირველ ნაბიჯს ატომგულის იარაღის გამოცდის საყოველთაო შეწყვეტის გზაზე. ახალ ნაბიჯს საერთაშორისო ურთიერთობის განვითარებაში, ქვეყნებს შორის ნდობისა და მშვიდობიანი თანამშრომლობის გასაძლიერებლად და არ ნიშნავს ატომური ომის წარმოშობის საფრთხის სრულ აღმოფხვრას. ახლა შეერთებული შტატებისა და ინგლისის ჯერია.

საბჭოთა კავშირმა მშვიდობის ნათელი გზა დასახა. საბჭოთა კავშირის მშვიდობიან ღონისძიებათა ნაყოფის განმტკიცების მიზნით ყველა ქვეყნის ხალხებმა უნდა აიძულონ ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი გამოეხმაურონ საბჭოთა კავშირის მოწოდებას და სამუდამოდ შეწყვიტონ ატომგულის იარაღის გამოცდა. (საკდესი).

საფრანგეთი

სიტყვა საქმეს არ ეწინააღმდეგება

პარიზი, 1 აპრილი. (*პრავდა*“ *სპკ. კორ.*). „ნ. ს. ხრუშჩოვის ახალმა მთავრობამ საერთაშორისო საქმეებში თავისი მოღვაწეობის დასაწყისი უდიდესი დიპლომატიური მნიშვნელობის აქტით აღნიშნა: სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო დადგენილება ატომური და წყალბადის ბომბების გამოცდის ცალმხრივი შეწყვეტის შესახებ და მოუწოდა ატომური იარაღის მქონე სხვა ორ სახელმწიფოს — ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს მიბაძონ საბჭოთა კავშირის მაგალითს“. ასე გამოაქვეყნა გაზეთმა „ფრანს სუარმა“ ცნობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის მუშაობის დამთავრების შესახებ.

უნდა წარმოვიდგინოთ დასავლეთში უკანასკნელი დღეების ატმოსფერო, რომელმაც ბევრნი პესიმისტურ მდგომარეობამდე მიიყვანა, რომ ჩაწვდეთ საზოგადოებრიობის სიხარულით აღსავსე მძლავრ რეაგირებას საბჭოთა კავშირის ამ ნაბიჯის პასუხად.

ხალხები მოსკოვიდან მიღებულ ცნობებს დიდი სიხარულითა და მხურვალე იმედით შეხვდნენ. „ეს განუზომელი მნიშვნელობის ისტორიული ფაქტია. მან სერიოზულად შეაფოთა ისინი, ვინც კაცობრიობას საშინელი კატასტროფით ემუქრება, მან მადლიერებისა და იმედის გრძნობები აღუძრა მსოფლიოს ყველა ხალხს“, — წერს დღეს გაზეთი „ლუმანიტე“.

საფრანგეთის მშვიდობის საბჭოს თავმჯდომარემ, მშვიდობის საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატმა დ. ასტიე დე ლა ვიჟერიმ „პრავდის“ მკითხველებისათვის შემდეგი განცხადება გააკეთა:

„გადაწყვიტა რა ცალმხრივად შეწყვიტოს ატომგულის იარაღის გამოცდა, საბჭოთა მთავრობამ გადადგა უმაგალითო მნიშვნელობის ნაბიჯი, ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი „ცივი ომის“ დასაწყისიდან. ამ გადაწყვეტილებას, უფრო მეტად, ვიდრე რომელიმე სხვა აქტს, შეუძლია ხელი შეუწყოს ატომური ომის კოშმარის თავიდან აცილებას, იმ საშინელი საფრთხის აღმოფხვრას, რომელიც უკვე ცალმეტი წელია თავს დასტრიალებს კაცობრიობას.

მშვიდობის მომხრეთა მოძრაობა იმედოვნებს, რომ შეერთებული შტატები და ინგლისი მიბაძავენ საბჭოთა კავშირის მაგალითს და რომ უახლოეს მომავალში დაიწყება მოლაპარაკება, რაც შესაძლებელს გახდის მიღწეულ იქნას ის მიზანი, რომელიც ჯერ კიდევ შვიდი წლის წინათ გამოაცხადა სტოკჰოლმის ცნობილმა მოწოდებამ: ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვა“.

„სავსებით ცხადია, — კომენტარს უკეთებს უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებას გაზეთი „პარი ჟურნალი“,— რომ საბჭოთა მთავრობის მეთაურს ნ. ს. ხრუშჩოვს კვლავ ხელთ უპყრია ინიციატივა. გადაწყვეტილება ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ, რაც მთელი მსოფლიოს წინაშე ცხადყოფს საბჭოთა კავშირის მშვიდობიან განზრახვებს, სრულიადაც არ უადვილებს ამოცანას დასავლეთის დიპლომატიას, რომელმაც, სულ ცოტა რომ ვთქვათ, თვითონ არ იცის, რა სურს“.

საფრანგეთის პრესა აგვიწერს იმ დაბნეულობას, რაც ამჟამად გამეფებულია ამერიკის შეერთებული შტატების გარკვეულ წრეებში. იმ დღეს, როცა საბჭოთა მთავრობამ უმაღლეს საბჭოში გააკეთა განცხადება ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ, ცნობილმა ამერიკელმა კომენტატორმა მოროუმ, რომელიც ტელევიზიით გამოვიდა, თქვა, რომ ეს გადაწყვეტილება ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალური წრეებისათვის წარმოადგენს „უფრო მძიმე ფსიქოლოგიურ დამარცხებას, ვიდრე საბჭოთა თანამგზავრის გაშვება“. გამონახა რა თავისი აზრის გამოსახატავად ეს ყველაზე ძლიერი შედარება, მოროუმ განაგრძო, რომ ვაშინგტონში ამ ცნობას მოელოდნენ „დაახლოებით ჰიპნოზის ქვეშ მყოფი იმ ბაჭიას გრძნობით, რომელსაც ესმის, რა ხდება მის გარშემო, მაგრამ არ ძალუძს გაინძრეს“.

უკვე პირველი კომენტარები საბჭოთა კავშირის გადაწყვეტილებაზე — ცალმხრივად შეწყვიტოს ატომგულის იარაღის გამოცდა გვიჩვენებენ, რომ „ცივი ომის“ ორგანიზატორები დაბნეული არიან.

(„*პრავდა*“, 2-IV).

„ყვავილების საამქროს“ უწოდებენ მუშა-მოსამსახურეები თბილისის კამვოლ-მაუდის კომბინატის ორანჟერეას. აქ გამოზრდილი ყვავილები და სხვადასხვა დეკორაციული მცენარეები ამშვენებს კომბინატის ტერიტორიას, საამქროებს, სასამსახურო ოთახებს, სასადილოს. ორანჟერეის მუშაკები ამჟამად აწარმოებენ ყვავილების გადარგვას ნიადაგზე.

სურათზე: აგრონომი ა. ჩიტაშვილი და ორანჟერეის მუშა გ. ლაზარიდი თბილისის კამვოლ-მაუდის კომბინატის „ყვავილების საამქროში“.

ფოტო ვ. სტოლიაროვისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

ახალი ნაშრომი

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ ქართულ ენაზე გამოსცა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის გ. საყვარელიძის ნაშრომი „გ. ვ. პლეხანოვის „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფი“.

ნაშრომი ძირითადად განკუთვნილია სკკპ ისტორიის შემსწავლელთა დასახმარებლად. მასში გაშუქებულია „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის მოღვაწეობის პერიოდი მისი შექმნიდან 1895 წლამდე, ე. ი. სანამ რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში მთავარი ხელმძღვანელი ძალა გახდებოდა მუშათა კლასი და მას სათავეში ჩაუდგებოდა ვ. ი. ლენინის მიერ შექმნილი პეტერბურგის „მუშათა განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი“.

წიგნი შედგება სამი თავისაგან („ისტორიული ვითარება, რომელიც აღმოცენდა „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფი“; „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის შექმნა და მოღვაწეობა“; „მარქსიზმის ფუძემდებლები და „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფი. ჯგუფის მნიშვნელობა“), დართული აქვს ავტორის წინასიტყვაობა და დასკვნა, შეიცავს 140 გვერდს და ღირს 3 მან.

სპორტის ამბები

ჩემპიონი დამარცხებას გადარჩა

კუიბიშევის „კრილია სოვეტოვ“ „ა“ კლასის ფეხბურთელთა ის კოლექტივია, რომელიც არცთუ ისე იშვიათად აყენებს უსიამოვნებას პრიზიორებს, კერძოდ მოსკოვის „დინამოს“, „ტორპედოს“, „სპარტაკს“.

ასე მოხდა გუშინაც. თბილისის „დინამოს“ სტადიონის იარუსებიდან ხშირად გაისმოდა ერთსულოვანი ტაში. ეს ტაში კუიბიშეველთა მისამართით იყო, რომლებმაც ჩემპიონთან — მოსკოვის „დინამოსთან“ ბრძოლაში მონოლითური კოლექტივის სახელი მოიხვეჭეს.

საქმე ის არის, რომ „კრილია სოვეტოვი“ ორივე ტაიმში მოწინააღმდეგეზე მაღლა იდგა არა მარტო მოქნილი ტაქტიკით, არამედ ფიზიკურადაც.

დინამოელთა ცნობილი მცველები ვერაფერს გახდნენ „კრილია სოვეტოვის“ სწრაფ გარემარბებთან ა. რედკინთან და კ. დორონინთან ბრძოლაში. კუიბიშეველები სრულ კონტროლს უწევდნენ მოედნის ცენტრალურ ნაწილს, საიდანაც იწყებოდა კომბინაციები.

თუ რამდენჯერ გადარჩა ჩემპიონის კარი აშკარა გოლს, ამის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. დინამოელები დამარცხებას გადარჩნენ. ეს საინტერესო ბრძოლა დამთავრდა ფრედ 0:0.

მოჭიდავეთა ასპარეზობა

სოხუმში მოეწყო გუნდური შეჯიბრება თავისუფალ ჭიდაობაში ახალგაზრდა სპორტსმენთა კოლექტივებს შორის.

შეჯიბრებაში მონაწილენი გაყოფილი იყვნენ ორ ჯგუფად. პირველ ჯგუფში უძლიერესი იყო თბილისის პირველი გუნდი. მომდევნო ადგილები დაიკავეს ქუთაისის გუნდმა და თბილისის მოჭიდაკეთა მეორე კოლექტივმა.

მეორე ჯგუფში გაიმარჯვა ონის რაიონის გუნდმა.

საქართველოს კალათბურთელთა წარმატება

დონის როსტოვში რამდენიმე დღეს გრძელდებოდა სამატჩო შეხვედრები დონის როსტოვის, ბაქოს, ერევნისა და თბილისის მოზარდ კალათბურთელთა გუნდებს შორის.

ეს შეჯიბრება თბილისელთა წარმატებით აღინიშნა და დამთავრდა მათივე გამარჯვებით. გოგონათა გუნდმა დაამარცხა ერევნის, დონის როსტოვისა და ბაქოს კალათბურთელები 46:38, 65:27, 42:41. სამი გამარჯვება მოიპოვა აგრეთვე თბილისის ჯაბუკთა გუნდმა, რომელმაც მოუგო ერევნის გუნდს 86:33, დონის როსტოვის გუნდს 72:37 და ბაქოს კალათბურთელებს — 81:55.

თბილისის გუნდებს გადაეცათ გარდამავალი თასები.

რედაქტორი პ. რატიანი.

ამერიკის შეერთებული შტატები

ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ეროვნული საბჭო მოითხოვს აგრეთვე ატომგულის იარაღის გამოცდის აკრძალვას

ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ საბჭოთა კავშირის განცხადების შემდეგ ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ეროვნულმა საბჭომ პრეზიდენტ დ. ეიზენჰაუერს გაუგზავნა წერილი, რომელშიც მოუწოდებს გაუქმოს ამერიკის ატომგულის იარაღის გამოცდა, რაც დასახულია მოეწყოს მომდინარე წლის აპრილში წყნარ ოკეანეში.

დეპეშაში, რომელსაც ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე ცნობილი მხატვარი და მწერალი როკუელ კენტი, კერძოდ, ნათქვამია:

„ჩვენ მიგვაჩნია, რომ მთელი მსოფლიოს უშიშროების ინტერესებისათვის ამერიკელ ხალხს სურს, რომ ჩვენი ქვეყანა შეუერთდეს საბჭოთა კავშირს და განაცხადოს, რომ კრძალავს ატომგულის იარაღის შემდგომ გამოცდას.

წერილში ჩვენი ქვეყნის მდგომარეობის შესახებ იანვარში თქვენ განაცხადეთ: „მსოფლიომ უნდა შეწყვიტოს თავისი ახლანდელი მოძრაობა ომის სულ უფრო დამანგრეველი იარაღების შექმნისაკენ და უნდა მობრუნდეს, რომ მტკიცედ დაადგეს მშვიდობის გზას. ამისათვის საჭიროა გაკეთდეს უფრო მეტი, ვიდრე სიტყვებია მშვიდობის შესახებ. ამისათვის საჭიროა საქმენი მშვიდობის ინტერესებისათვის“.

ბ-ნო პრეზიდენტო, მობრუნება გაკეთებულია. მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი გვიწვევს და გვთავაზობს შევუერთდეთ პირველ ნაბიჯს გამალებული შეიარაღების შეწყვეტის გზაზე. მოგიწოდებთ გააუქმოთ ატომგულის იარაღის გამოცდა, რაც ჩვენმა მთავრობამ დასახა დაიწყოს აპრილში წყნარ ოკეანეში. ეჭვი არ გვეპარება, რომ ატომგულის მქონე სხვა სახელმწიფოებთან, დიდ ბრიტანეთთან და საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობის გზით შეიძლება შეთანხმება აკრძალვის დაცვის დამაკმაყოფილებელი გარანტიების შესახებ. (საკდესი).

ინდოეთი

გაბედული და ჰუმანური აქტი

გაზეთ „პრავდის“ სკკ. კორესპონდენტი ნ. პასტუხოვი დელიდან იუწყება, რომ სრულიად ინდოეთის მშვიდობის საბჭომ 1 აპრილს გამოაქვეყნა სპეციალური განცხადება. რომელიც მიძღვნილია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებისადმი. განცხადებაში კერძოდ ნათქვამია:

„სრულიად ინდოეთის მშვიდობის საბჭო სულით და გულით მიეხალმება საბჭოთა კავშირის ხალხს და მთავრობას გაბედული, მტკიცე და ჰუმანური აქტის — ატომგულის იარაღის ყველა შემდგომი გამოცდის ცალმხრივი შეწყვეტის გამო. ეს ნაბიჯი მობრუნების მომენტი უნდა გახდეს კაცობრიობის ისტორიაში, თუ ის შეხვდება დაუყოვნებლივ და გულწრფელ გამოხმაურებას იმ სხვა სახელმწიფოთა მხრივ, რომლებსაც ატომგულის იარაღი აქვთ“.

სრულიად ინდოეთის მშვიდობის საბჭომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს გაუგზავნა შემდეგი შინაარსის დეპეშა:

„სრულიად ინდოეთის მშვიდობის საბჭო გულწრფელად მოგილოცავთ თქვენ და სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს გაბედული და ქმედითი გადაწყვეტილების მიღებას ატომგულის იარაღის გამოცდის ცალმხრივი შეწყვეტის შესახებ. დაე თქვენმა კეთილშობილურმა თაოსნობამ აღაფრთოვანოს სხვა მთავრობები და მიიყვანოს მსოფლიო განიარაღებამდე და მშვიდობამდე“.

იაპონია

„ამერიკა, მიბაძე საბჭოთა კავშირის მაგალითს!“

როგორც „პრავდის“ საკუთარი კორესპონდენტი, ი. ლატუშევი ტოკიოდან იუწყება, ცნობამ საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილების შესახებ — ცალმხრივად შეწყვიტოს ატომგულის იარაღის გამოცდა — უდიდესი კმაყოფილება გამოიწვია იაპონიის საზოგადოებრიობაში.

1 აპრილს ტოკიოში საბჭოთა საელჩოს შენობასთან მიდიოდა იაპონელი ხალხის სხვადასხვა ფენის მრავალი დელეგაცია. ისინი გამოთქვამდნენ მხურვალე მადლობას საბჭოთა მთავრობისადმი ამ დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილების გამო.

იაპონიის სახელმწიფო რკინიგზების მუშათა პროფკავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ კოტი დომონმა განაცხადა:

„იაპონიის მუშები სულით და გულით მიესალმებიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ამ შესანიშნავ ინიციატივას და მზად არიან მხარი დაუჭირონ მას“.

ამაღელვებელი იყო იაპონიის დედაქალაქის სტუდენტთა დელეგაციების შეხვედრები საბჭოთა საელჩოს ეზოში. მათ ჰქონდათ პლაკატები, რომლებზეც ეწერა:

„გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის უარს ატომგულის იარაღის გამოცდაზე!“, „ამერიკა, მიბაძე საბჭოთა კავშირის მაგალითს! შეწყვიტე ყწალბადის ბომბების გამოცდა წყნარ ოკეანეზე!“.

„ჩვენ ამ პლაკატებს ჩვენი დაწერილი მოთხოვნებით ამერიკის საელჩოში წავიღებთ!“ — განაცხადა სტუდენტთა ერთ-ერთი ჯგუფის მეთაურმა. საღამოსათვის ცნობილი გახდა, რომ ამერიკის საელჩოს წინ გამმართა სტუდენტთა დემონსტრაცია. ამერიკის საელჩოს თანამშრომლები უხეშად შეხვდნენ დემონსტრანტებს და უარი თქვეს მათთან ლაპარაკზე.

იაპონიის კომუნისტური პარტიის პრეზიდიუმის პირველმა მდივანმა სანძო ნოსაკამ „პრავდის“ კორესპონდენტს განუცხადა:

„საბჭოთა მთავრობის ახლანდელმა გადაწყვეტილებამ განსაკუთრებით ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა იაპონელ ხალხზე... დადგა დრო, როდესაც ჩვენმა ხალხმა უნდა აიძულოს იაპონიის მთავრობა წარუდგინოს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს მოთხოვნა ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ“.

მშვიდობის განმტკიცების გზა

უცხოეთის გამოხმაურება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის გადაწყვეტილებათა გამო

⊙

საბჭოთა კავშირის კეთილშობილური გადაწყვეტილება, წერს მოწინავეში „რუმინული გაზეთი „სკინტეია ტინერეტულუი“, გამომდინარეობს საბჭოთა კავშირის ხალხთა და მთავრობის განსაკუთრებული მშვიდობისმოყვარეობიდან, იგი არის ახალი გამოხატულება მშვიდობის პოლიტიკისა, რომელსაც საბჭოთა კავშირი ქვეყანა ენერგიულად ახორციელებს ოთხი ათეული წლის განმავლობაში. ამ გადაწყვეტილებამ იმედი გაუღვიძა ხალხებს, რომლებიც იბრძვიან ატომგულის იარაღის გამოცდის სრული აკრძალვისათვის, გააძლიერა მათი რწმენა, რომ მსოფლიო შეიძლება განთავისუფლდეს ატომური ომის საფრთხისაგან.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრესა კვლავ ფართო კომენტარს უკეთებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებას. გაზეთი „ბაუერნეხო“ აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირის მიერ ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტა ხალხებს უჩვენებს განიარაღების პრაქტიკულ გზას.

შვედური ბურჟუაზიული გაზეთი „მორგონ-ბლადეტი“, კომენტარს უკეთებს რა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებას, წერს: „საბჭოთა კავშირის ღონისძიება არის ნაწილი მშვიდობის ეფექტიანი პოლიტიკისა, რომელსაც კმაყოფილებით უნდა მიესალმოს ყველა, ვინც ზრუნავს კაცობრიობის მომავლისათვის. მთელი მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრი მოითხოვს შეწყდეს ატომგულის იარაღის გამოცდა. ამერიკა და ინგლისი მეტად არახელსაყრელ შთაბეჭდილებას მოახდენენ მსოფლიო საზოგადოებრიობაში, თუ უარს იტყვიან ახლავე მიბაძონ რუსების მაგალითს. მათი პრზიციის გაგება ძნელი იქნება“.

იტალიის მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის სამდივნომ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ მშვიდობის საქმემ ამ დღეებში მოიპოვა დიდი გამარჯვება — საბჭოთა მთავრობამ გადაწყვიტა შეწყვიტოს ატომგულის იარაღის გამოცდა... ხალხები მიესალმებიან ამ გადაწყვეტილებას, რომელიც გამოხატავს კონკრეტულ ნებას, რომ მსოფლიო პოლიტიკა წარიმართოს განიარაღების გზით, მიესალმებიან გადაწყვეტილებას, რომელიც წარმოადგენს წინამძღვარს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის.

აღნიშნავს რა მოწინავე სტატიაში, რომ საბჭოთა კავშირმა პირველი ნაბიჯი გადადგა „ატომური ომის საფრთხისაგან კაცობრიობის ხსნის“ გზით, **იაპონიის** გაზეთი „ასახი“ წერს: „ჩვენ კვლავ მოვითხოვთ, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ინგლისმა რაც შეიძლება მალე მიბაძონ საბჭოთა კავშირის მაგალითს და უარი თქვან ატომგულის იარაღის გამოცდაზე“.

ამერიკის გაზეთების უმრავლესობა, კომენტარს უკეთებს რა საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებას, კვლავ იმეორებს ოფიციალურ თვალსაზრისს, თითქოს ეს გადაწყვეტილება იყოს „პროპაგანდისტული ჟესტი“, და კვლავ მოჰყავს „არგუმენტები“, რომლებიც დღესმა წამოაყენა პრეს-კონფერენციაზე, რათა გაემართლებინა ამერიკის შეერთებული შტატების უარი მიბაძონ საბჭოთა კავშირის მაგალითს.

მაგრამ, გრძნობს რა, რომ ეს „მოსაზრებები“ არ არის დამაჯერებელი, ბევრი კომენტატორი აკეთებს შენიშვნებს, რომლების შემდეგ სახელმწიფო მდივნის მოსაზრებებიდან აღარაფერი რჩება. გაზეთები „ნიუ-იორკ უორლდ ტელეგრამ ენდ სანი“, „კრისჩენს საიენს მონიტორი“, „ჩიკაგო დეილი ნიუსი“ მოწინავე სტატიებში და თავიანთი ვაშინგტონელი კორესპონდენტების ცნობებში საეჭვოდ მიიჩნევენ დალესის მტკიცებას, რომელსაც ეყრდნობა მთელი მისი პოზიცია, სახელდობრ, რომ საბჭოთა გადაწყვეტილების განხორციელება თითქოს „შეუძლებელია შემოწმდეს“ და რომ იგი შეიძლება „ფარულად დაარღვიონ“.

ამასთან დაკავშირებით გაზეთები აღნიშნავენ, რომ სწორედ პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა სულ რამდენიმე კვირის წინათ პრეს-კონფერენციაზე გამოთქვა სრულიად საწინააღმდეგო თვალსაზრისი, განაცხადა რა, რომ ამჟამად შეუძლებელია რამდენადმე მნიშვნელოვანი ატომური იფეთქების დაფარვა. გაზეთ „ჩიკაგო დეილი ნიუსის“ ვაშინგტონელი კორესპონდენტი ლისაგორი, მიაქცევს რა ყურადღებას ამ წინააღმდეგობას, დასძენს, რომ დიპლომატიურმა მიმომხილველებმა ვაშინგტონში ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალური გამოხმაურება საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილების გამო შეაფასეს როგორც „წყალწაღებულის ცდა მოეჭიდოს ხავსს“.

(საკდესი).

ინდონეზიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მე-6 პლენუმის გადაწყვეტილება

ინდონეზია

ჯაკარტა, 3 აპრილი. (საკდესი). ინდონეზიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეექვსე პლენუმმა მიიღო რეზოლუცია, რომლითაც მხარს უჭერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებას საბჭოთა კავშირის მიერ ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის ცალმხრივი შეწყვეტის შესახებ. ეს დადგენილება, ნათქვამია რეზოლუციაში, მოწმობს საბჭოთა კავშირის გულწრფელობას მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის მის ბრძოლაში. ინდონეზიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს ინდონეზიის მთავრობასა და მთელ ხალხს მხარი დაუჭირონ საბჭოთა კავშირის ამ გადაწყვეტილებას და მოითხოვონ, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ინგლისმა მიბაძონ საბჭოთა კავშირის მაგალითს და დაუყოვნებლივ განაცხადონ, რომ წყვეტენ ატომგულის იარაღის გამოცდას.

ინგლისი

მნიშვნელოვანი წვლილი მშვიდობის საქმეში

ინგლის-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოებამ გამოაქვეყნა ტექსტი წერილისა, რომელიც მიძღვნილია საბჭოთა კავშირის გადაწყვეტილებისადმი შეწყვიტოს ატომგულის იარაღის გამოცდა. ინგლის-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების გენერალურმა მდივანმა პეტ სლოუნმა 2 აპრილს ეს წერილი გაუგზავნა პრემიერ-მინისტრ მაკმილანს. იმოწმებს რა მაკმილანისა და დალესის განცხადებებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის გადაწყვეტილების გამო, სლოუნი აღნიშნავს, რომ „რამდენიმე წლის განმავლობაში თქვენ საბჭოთა მთავრობისაგან მოითხოვდით საქმეებს და არა სიტყვებს“. „მაგრამ,—განაგრძობს სლოუნი, — მიუხედავად იმისა, რომ ამ ხნის განმავლობაში საბჭოთა კავშირმა 2.100 ათასი კაცით შეამცირა თავისი შეიარაღებული ძალები, ხოლო ამჟამად შეწყვიტა ატომგულის იარაღის გამოცდა, ეს საქმეები თქვენ, როგორც ჩანს, უფრო გაწფოთებთ, ვიდრე ალგაფრთოვანებთ“.

სლოუნი აცხადებს: „ამჟამად ინგლისელი ხალხის დიდ უმრავლესობას სწამს უმაღლეს დონეზე თათბირის მოწყობის შესაძლებლობა და განიარაღება. საბჭოთა მთავრობამ, შეწყვიტა რა ატომგულის იარაღის გამოცდა, გადადგა ისეთი ნაბიჯი, რომელიც მოწმობს საქმეებს და არა სიტყვებს“. (საკდესი).

ინდონეზიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მე-6 პლენუმის გადაწყვეტილება

ინდონეზია

ჯაკარტა, 3 აპრილი. (საკდესი). ინდონეზიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეექვსე პლენუმმა მიიღო რეზოლუცია, რომლითაც მხარს უჭერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებას საბჭოთა კავშირის მიერ ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის ცალმხრივი შეწყვეტის შესახებ. ეს დადგენილება, ნათქვამია რეზოლუციაში, მოწმობს საბჭოთა კავშირის გულწრფელობას მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის მის ბრძოლაში. ინდონეზიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს ინდონეზიის მთავრობასა და მთელ ხალხს მხარი დაუჭირონ საბჭოთა კავშირის ამ გადაწყვეტილებას და მოითხოვონ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებმა და ინგლისმა მიბაძონ საბჭოთა კავშირის მაგალითს და დაუყოვნებლივ განაცხადონ, რომ წყვეტენ ატომგულის იარაღის გამოცდას.

ინდონეზიის ინგლისელ-ამერიკელ ექსპლუატაციონერთა ეროვნული ფედერაციის ცენტრალური კომიტეტის ბიულეტენი „ინდონეზიელ ექსპ